ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№3-4, მარტი-აპრილი 2018

ბსუ-ს ახალი კორპუსის მშენებლობა ოფიციალურად გაიხსნა

მიმდინარე წლის 25 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობას ოფიციალურად ჩაეყარა საფუძველი. უნივერსიტეტის რექტორთან ერთად საქართველოს განათლების მინისტრმა — მიხეილ ჩხენკელმა და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებმა ოფიციალური კაფსულა სიმბოლურად ჩაუშვეს. მშენებლობას ადგილობრივი მთავრობა 2 მილიონ 700 ათასი ლარით აფინანსებს. მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. თანამედროვე სტანდარტების სამსართულიან კორპუსში სწავლა ადაპტირებული იქნება. იგი ლეონიძის ქუჩაზე მდებარეობს.

ამავე დღეს განათლების და მეცნიერების მინისტრი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ესტუმრა, რომელმაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტამბა და კაბინეტ-ლაბორატორიები დაათვალიერა, სადაც სტუდენტები თეორიული ცოდნის პარალელურად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც იძენენ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უნივერსიტეტის პროფესორებისა და მკვლევრების მიერ შესრულებულ კვლევის შედეგებსაც გაეცნო.

„ენა დედაა ერისა“ — *გვ.2*

დაწყებითი განათლების სპეციალობაზე სწავლა 5-წლიანი ხდება — *გვ.2*

საუნივერსიტეტო მშენებლობა — *გვ.3*

სტუდენტური ცხოვრების ეპიზოდები
„დამიჯერეთ, არაფერი სჯობს იმ განცდას, როცა ამ სირთულეების მიუხედავად, გვირაბის ბოლოს შენც დაინახავ სინათლეს, ყველა გამოცდას ჩააბარებ და იმ მარადიულ კითხვას გასცემ პასუხს — აი, ამიტომ ღირდა წვალება“... — *გვ.4*

საუბრები ლიტერატურაზე
გვესაუბრება პროფესორი რამაზ ხალვაში — *გვ.5*

„ყველა პროგრამა გაივლის აკრედიტაციას“ — *გვ.6*

მართლმადიდებლური სწავლება დაფუძნებულია განათლებაზე
„ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც რიგითი, ასევე ის ადამიანები, რომელთაც ქვეყნის ბედი აბარიათ, ვინც მასწავლებლის სტატუსს ატარებს და რომლებიც იღებენ პასუხისმგებლობას ახალგაზრდები განსწავლონ, თავად არ აქვთ მიზანი სიღრმისეულად შეისწავლონ, შეიმეცნონ ღმერთი, სამყარო და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზით ცდილობენ ცოდნის ერთი ადამიანიდან მეორისთვის გადაცემას. აუცილებელია, გვესმოდეს, ჭეშმარიტი რწმენისა და განათლების მნიშვნელობა“. — *გვ.7*

სახელოვანი იუბილარი — *გვ.8-9*

დაწყებითი განათლების სპეციალობაზე სწავლა 5-წლიანი ხდება

დიპლომი მაგისტრის კვალიფიკაციით!



მიმდინარე წელს განათლების ფაკულტეტზე ცვლილებები იგეგმება: როგორც დაწყებითი, ისე საშუალო და საბაზო საფეხურის მასწავლებლის სასწავლო პროგრამა 300 კრედიტამდე გაიზრდება. სამოცი კრედიტის ფარგლებში პროგრამას დაემატება კვლევითი და პრაქტიკის კომპონენტი. ეს იქნება მაგისტრთან გათანაბრებული მისანიჭებელი ხარისხი. დაწყებითი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა 5-წლიანი ხდება.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე ესაუბრება:

— განახლებული, ხუთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული უფროსი მასწავლების სტატუსით შევა სკოლაში და აღარ იარსებებს ის პრობლემა, რაც აქამდე იყო, კერძოდ, კურსდამთავრებულს იმავე წელს არ შეეძლო სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლა, ახლა კი მას ექნება შესაძლებლობა ყოველგვარი დამატებითი გამოცდის გარეშე ჩაერთოს სქემაში. ასევე ის მეტად კონკურენტუნარიანი იქნება, ვიდრე იყო.

განათლების სფერო ცვალებადია და შესაძლებელია კვლავ შეიტანონ მასში კორექტირება. აკრედიტაციის პროცესი მალე დაიწყება და ხუთი წლის შემდეგ გვეყოლება პირველი გამოშვება. შესაბამისად, მოვიმკით პირველი მცდელობის ნაყოფსაც.

დამატებით სპეციალობებში მასწავლებლის მომზადების პროგრამა აღარ იარსებებს, რომლის არჩევაც სტუდენტებს მესამე კურსიდან შეეძლოთ. მათ ვინც უკვე სწავლობს და სურს მასწავლებლობა სამომავლოდ, მოუწევთ ერთწლიანი მასწავლებლის მომზადების დამატებით პროგრამაზე სწავლის გაგრძელება საგნისა და შიდა გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

— შეეხება თუ არა ცვლილებები მოქმედ სამაგისტრო პროგრამებს?

— სამაგისტრო პროგრამას ცვლილელები არ შეეხება. განათლების ადმინისტრირებისა და განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამები უცვლელ რეჟიმში განაგრძობს სწავლებას.

სტუდენტების დაინტერესება უფრო და უფრო იზრდება. ხარისხის უზრუნველყოფის გარე და შიდა მექანიზმები მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს, სასწავლო პროცესი ყოველ წელს იხვეწება და შედის მასში ცვლილებები, რომელიც ისევ და ისევ სტუდენტის ინტერესებსაა მორგებული.

— რას გვეტყვით კურსდამთავრებულების შესახებ?

— რაც შეეხება კურსდამთავრებულებსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას, სწავლის დასრულების შემდეგ ჩვენ გვაქვს ურთიერთობა მათთან და ისინი წარმატებით საქმდებიან კერძო თუ საჯარო სკოლებში სხვადასხვა პოზიციაზე, სტუდიებსა და ბაღებში.

აქვე გეტყვით, რომ იგეგმება პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური და სამეცნიერო დონის ამაღლება, მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის პირობების შექმნა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარება, მივლინება წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში; პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ სპეციალისტთა მოზიდვის მიზნით მენეჯმენტის გაძლიერება; აკადემიური თუ მოწვეული კონტინგენტის მუშაობის ეფექტურობის შემოწმება; პრიორიტეტების დადგენა და მათი კონტროლი. აუცილებელია ფაკულტეტის შემოსავლის გაზრდა არა მარტო სტუდენტთა და მსმენელთა გადასახადის ხარჯზე, არამედ სხვა წყაროებიდან (გრანტები, სტიპენდიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, შემოწირულობანი). ამისათვის კი საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება, რაც საშუალებას მოგვცემს მონაწილეობა მივიღოთ სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსებში; ფაკულტეტის რესურსების გადანაწილება პრიორიტეტულ და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებზე; სპეციფიკური კამპანიის დაწყება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ დაფინანსება საერთაშორისო და სამამულო ორგანიზაციებიდან; ფაკულტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან მზრუნველთა საბჭოს შექმნა. ფაკულტეტის ეფექტური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობები ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას და თითოეულ წევრს ჰქონდეს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება

ლია ბოლქვაძე

„ენა დედაა ერისა“

14 აპრილს საქართველოში ტრადიციულად დედაენის დღე აღინიშნება.

დედაენის დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. დედაენის კვირეული დაიწყო 10 აპრილს პრეზენტაციით „არა ბარბარიზმებს“. 11 აპრილს პროექტის „მე მიყვარს ქართული – ჩემი სახელმწიფო ენა“ ფარგლებში ბსუ-ს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სომხურენოვანი/აზერბაიჯანულენოვანი) სტუდენტებისათვის ჩატარდა კარნახით წერა ქართულ ენაში.

14 აპრილს უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გვირგვინით შეამკეს ილია ჭავჭავაძის ძეგლი.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული 17 აპრილს დასრულდა შემდეგი ღონისძიებებით: უნივერსიტეტში შედგა ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საჯარო ინფორმირებისათვის სახელწმიფო ენის გამოყენების პრაქტიკის კვლევა“ პრეზენტაცია. ქართული ენის აქტუალურ საკითხებზე გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელშიც ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სამსახურის უფროსმა თინათინ ბოლქვაძემ. ნაწილეთა შემოქმედებითი უნარის განვითარება და ქართული ანბანის განსაკუთრებულობის წარმოჩენა იყო. 2017 წელს მსგავსი კონკურსის აქტუალური თემა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იყო, 2018 წელს კონკურსის თემაა: „ოთარ ჭილაძის ერთი სტრიქონი“ (ოთარ ჭილაძე-85!). კონკურსის გამარჯვებულია ქართული ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტი დარიკო შენგელია. ის ამბობს: ,,ქართული დამწერლობა, და ზოგადად ქართული ენა, დღეს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. არასწორი ენობრივი ფორმების სიმრავლე თავს იჩენს როგორც ზეპირი მეტყველებისას, ისე წერის დროს. მშობლიური ენის მოვლა და გაფრთხილება თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. ნაკლებ შეცდომას უშვებს ის, ვინც

სტუდენტებმა ქალაქში მოაწყვეს მსვლელობა და დაარიგეს ფლაერები.

დედაენის კვირეულის ფარგლებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უკვე მეორედ გამოაცხადა კონკურსი „ქართული კალიგრაფია“. კონკურსის მიზანი ხელით წერის კულტურისა და მოსაკუთარ თავზე მუშაობს და ცდილობს გამოასწოროს ხარვეზები. ამისთვის კი საჭიროა, ვიფიქროთ, ვისაუბროთ და ვწეროთ მეტი ქართულად“.

დარიკო შენგელიასთვის კონკურსში გამარჯვება მნიშვნელოვანი მიღწევაა. ის აღნიშნავს: ,,ჩვენს უნივერსიტეტში უკვე მეორედ გავხდი საუკეთესო კალიგრაფი. ჩემთვის ამ კონკურსში გამარჯვება დიდი პატივია. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომელიც მსგავსი კონკურსებით ხელით წერის პოპულარიზაციას ეწევა. ძალიან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების საუკუნეში შევახსენოთ საზოგადოებას, რომ ბეჭდური ტექსტის გარდა ხელნაწერიც არსებობს, რომ ხელით წერა გაცილებით დიდი სიამოვნებაა.”

სახელმწიფო ენის დღესთან დაკავშირებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულებისა და მასთან არსებული სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა რიგით II საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია ქართულ ენაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიის IV კურსის სტუდენტები: თალიკო დავითაძე, ჩხაიძე თეკლე, შერვაშიძე ანა და ბოლქვაძე ლია (მეცნიერ- ხელმძღვანელები ასოცირებული პროფესორები: ნ. ცეცხლაძე, მ.კიკვაძე).

სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. გაიმართა: კონკურსი - „ვინ უკეთ წერს“, ვიქტორინა - „ თუ დაივიწყე ენა ქართული“, „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა, დარიგდა ბუკლეტები უნივერსიტეტისა და ქალაქის მასშტაბით და ბოლოს, ექსკურსია კონფერენციის მონაწილეთათვის.

კონფერენცია საუნივერსტიტეტთაშორისო იყო. ამდენად, მასში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, ასევე დუზჯესა და რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის სტუდენტები.

კონფერენციის თითოეულ მონაწილეს წაკითხული მოხსენებისათვის გადაეცათ სერტიფიკატები.

მარიკა გამახარია

საუნივერსიტეტო მშენებლობა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი შენდება. აღმშენებლობის პროცესი მიმდინარეობს ქობულეთშიც, სადაც ახალ კვლევით ინსტიტუტს ეყრება საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საკითხები ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი აქტუალური თემაა.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი ჯემალ ანანიძე.

მარიკა გამახარია, სარედაქციო კოლეგიის წევრი.

— ბატონო ჯემალ, როდის შევა ახალი სასწავლო კორპუსი ექსპლუატაციაში?

— 25 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობას ოფიციალურად ჩაეყარა საძირკველი. მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი ესწრებოდა. მშენებლობა სავარაუდოდ წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში უნდა დასრულდეს.

— რომელი ფაკულტეტები განთავსდება ახალ სასწავლო კორპუსში?

— ეს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. რამდენიმე ფაკულტეტის გაერთიანებაა დაგეგმილი და ამის მიხედვით გადავწყვეტთ, თუ რომელი კონტინგენტისთვის იქნება განკუთვნილი აღნიშნული სივრცე.

— დაახლოებით რა მოცულობისაა ტერიტორია და რას გვეტყვით მიმდინარე მშენებლობების შესახებ?

— ახალი სასწავლო კორპუსის შენობა სამსართულიანია, ფართი დაახლოებით 3000 კვადრატამდეა. ერთი კორპუსი შენდება ამ ეტაპზე სასწავლო, მიმდინარეობს სხვა კორპუსების მშენებლობებიც: ეს არის საერთო საცხოვრებელი, რომელიც სექტემბერში შევა ექსპლუატაციაში, ქობულეთში შენდება კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც აგვისტოში დასრულდება და საერთოდ, მიმდინარე წელს ჩვენ გვაქვს დაახლოებით რვა მილიონიანი ინფრასტრუქტურული პროექტები; ეს არის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია და ყველა ის სივრცე, რომელიც განთავსებულია სხვადასხვა ტერიტორიაზე, მაქსიმალურად განახლდება. ამას ემატება რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კორპუსი და გარე ლიფტის მონტაჟი. ამდენად, საკმაოდ მსხვილი მოცულობის სამუშაოები გვაქვს. ნაწილი სამუშაო გასული წლის გაგრძელებაა და ეს არის ბიბლიოთეკის, სარდაფების, გარე ფასადებისა და სტადიონის რეაბილიტაცია. ასევე საინტერესოა ის, რომ განახლდება სააქტო დარბაზი, რომელიც ამორტიზებულია — განათების სისტემიდან დაწყებული, დამთავრებული სხვადასხვა ინვენტარით. სავალალო მდგომარეობაშია სცენა. სექტემბრის ბოლოსთვის განახლდება კუ-

ლისებიც. ფარდა და ეკრანი იქნება ავტომატურ სისტემაზე, რათა უფრო მოხერხებული იყოს სხვადასხვა ღონისძიებებისთვის. სამომავლო გეგმები ჩვენი ეზოს რეაბილიტაციასაც გულისხმობს. ეზოში დაგეგმილი გვაქვს რეკრეაციული ზონები, დაიდგმება ახალი სკამები, სადაც სტუდენტებს თავისუფალ დროს დასვენება შეეძლებათ. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ ვაპირებთ არსებული სპორტული დარბაზის გადაკეთებას საბიბლიოთეკო სივრცედ, რადგან ეს სპორტული სივრცე არასტანდარტულია, რის გამოც ვერ ვიყენებთ სხვადასხვა ღონისძიებებისათვის. ამის სანაცვლოდ მალე გამოვაცხადებთ კონკურსს ლეონიძის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის დაპროექტებისათვის, რომლის მშენებლობაც სავარაუდოდ მიმდინარე წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში განხორციელდება. ეს იქნება ახალი სივრცე, სადაც არა მარტო მოედნები, არამედ ტრენაჟორების სისტემაც იქნება.

— ბატონო ჯემალ, ვინ აფინანსებს სასწავლო კორპუსის მშენებლობას?

— სასწავლო კორპუსის მშენებლობა მთლიანად აჭარის განათლების სამინისტროს პროგრამული დაფინანსებით ხორციელდება. ქობულეთში კვლევითი ინსტიტუტის მშენებლობა ნაწილობრივ ჩვენი რესურსებით მიმდინარეობს. მთლიანობაში გამოყოფილია მილიონ ექვსასი ათასი ლარი. აქედან 700 000 ლარი დაფინანსებულია აჭარის ბიუჯეტიდან.

— ვინ უძღვება საუნივერსიტეტო მშენებლობებს?

— ქობულეთში კვლევით ინსტიტუტს, საერთო საცხოვრებელს და ლეონიძის ქუჩაზე მდებარე სასწავლო კორპუსს აშენებს ჩინური კომპანიის ფილიალი, რომლისთვისაც საქართველოში ამ მოცულობის ინვესტიცია პირველია, თუმცა მათ ჩინეთში დიდი გამოცდილება აქვთ. მაქსიმუმს აკეთებენ იმისთვის, რომ ეფექტურად შეასრულონ სამუშაოები. სამივე ობიექტი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, შეესაბამება თანამედროვე უსაფრთხოების ნორმებს. გაგრილება-გათბობის სისტემაც მოდერნიზებულია და ვფიქრობთ, რომ ეს ინფრასტრუქტურა საკმაოდ წარმატებული და უნივერსიტეტის პირობებში საკმაოდ მაღალი სტანდარტისა იქნება.

— კონკრეტულად რას გვეტყვით სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შესახებ? ეს სტუდენტებისთვის ძალიან აქტუალური თემაა...

— განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს, სადაც შეიძლება განთავსდეს 200-მდე სტუდენტი. შენობის გარკვეული ნაწილი დაეთმობა მოწვეულ ლექტორებს, ასევე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტებს და საზაფხულო სკოლის მონაწილეებს. რაც შეეხება სპორტულ კომპლექსს, გვინდა იმ სტანდარტის იყოს, რომ ზაფხულობით გარკვეულ სტუდენტურ ღონისძიებებს ვუმასპინძლოთ, რითაც ჩვენი უნივერსიტეტი უფრო ცნობილი გახდება.

— არის თუ არა დაგეგმილი შენობაში ბიბლიოთეკის ან ინტერნეტსივრცის განთავსება?

— დაგეგმილი გვაქვს განვათავსოთ სტუდენტური ჩართულობის ცენტრი, ამისათვის სპეციალური სივრცე იქნება გამოყოფილი, სადაც შეხვედრების ორგანიზება შეიძლება. საცხოვრებელს აქვს კარგი ნახევარსარდაფი, დაახლოებით 800 კვადრატული მეტრი, რომელიც სხვადასხვა აქტივობებისთვის არის გათვლილი. სტუდენტთა საცხოვრებელი არის ბლოკური პრინციპით, ორ ოთახს აქვს ერთი საერთო კვების ბლოკი, ჩაირთვება გაზის სისტემა. სახანძრო უსაფრთხოება მაქსიმალურად არის დაცული. გარდა ამისა, საცხოვრებელს აქვს კარგი მიმდებარე სკვერი. ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიის შემოღობვა, რათა თავიდანვე ჰქონდეს საუნივერსიტეტო იერსახე.

— თუ არის უკვე რეგულაციები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იცხოვრებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში?

— სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმები ჩვენ უნდა მივიღოთ წარმომადგენლობით საბჭოზე. შეიძლება შევარჩიოთ სოციალური სტატუსის მიხედვით, ან კიდევ წარმატებულ სტუდენტებს მიენიჭებათ უპირატესობა. ამ რეგულაციებს ჩვენ შევიმუშავებთ მიმდინარე წელს, სავარაუდოდ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. აუცილებლად გამკაცრდება შინაგანაწესი, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებული იქნება სადამსჯელო სანქციები. ყველა ეს ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

— საერთო საცხოვრებელში ცხოვრების შემთხვევაში, სტუდენტი რა რაოდენობის თანხას გადაიხდის ყოველთვიურად?

— თუ ძველ საცხოვრებელში 15 ლარი იყო გადასახდელი ყოველთვიურად, ბუნებრივია, აქ ასე არ იქნება, საფასური გაიზრდება. ჯერჯერობით არც ეს არის გადაწყვეტილი, მაგრამ დაახლოებით, შესაძლოა 50-დან 100 ლარამდე იყოს. ვნახოთ, როგორი იქნება ხარჯები...

სანიტარული კვანძები, რომელიც საკმაოდ კომფორტული და მოსახერხებელია. ცალკე მოეწყობა კვების ბლოკი. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ენერგოეფექტურ მზის სისტემაზე იქნება ძირითადად გათბობა დამონტაჟებული. მოგეხსენებათ, საერთო საცხოვრებელში მუდმივად საჭიროა ცხელი წყალი და ეს სისტემა საკმაოდ მოსახერხებელია, შედარებით ნაკლებ მზიან ამინდებში

— არის თუ არა საფრთხე იმისა, რომ გადავადდეს სამუშაოები ან შეფერხდეს რაიმე მიზეზის გამო?

— სამუშაოები მიმდინარეობს სწრაფი ტემპით. ჯერჯერობით შემაფერხებელი ფაქტორები არ არსებობს. მშენებლობა მიმდინარე წელს აუცილებლად უნდა დასრულდეს.

1989 წლის 9 აპრილი ბათუმში

1989 წლის დილას, საინფორმაციო პროგრამის „მოამბე“ მეშვეობით გავიგე 9 აპრილის ღამით თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. მაშინ ბათუმში ჯავახიშვილის ქუჩის 72 ნომერში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. სასწრაფოდ სახლიდან გამოვედი და ინსტინქტურად ქალაქის ცენტრში მდებარე ილია მართლის ძეგლისაკენ გავეშურე (მაშინ იგი ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის წინა მხარეს, ახლანდელი ნეპტუნის კომპლექსის ადგილზე იყო განლაგებული). ქალაქი უცნაურად იყო გაყუჩებული და მის ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ისე გავიარე ბათუმი ჯავახიშვილის ქუჩიდან ილია მართლის ძეგლამდე, ქუჩაში თითქმის არავინ შემხვედრია. ბინებისა თუ სახლების ფანჯარა-დარაბებიც პირქუშად იყო გამოკეტილი. ილიას ძეგლთან მისულს იქ დამხვდა ათიოდე ბათუმელი პატრიოტი. ყველა მათგანი სახელსა და გვარს ვერ ვიხსენებ და ვინმე რომ არ გავანაწყენო, ამიტომაც არ ჩამოვთვლი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი, როგორც გაზეთის მკითხველს, ისე, უპირველეს ყოვლისა, თითოეულ მათგანს, რომლებმაც გაბედეს და ასეთ ჟამს გარეთ პროტესტის გამოსახატავად გამოვიდნენ. ძეგლთან შეკრებილი პატრიოტები მკლავზე გაკეთებული შავი ლენტებით ილია მართლის ძეგლის პოსტამენტზე ანთებულ სანთლებს ამაგრებდნენ. მეც მათ შევუერთდი. ცოტა ხნის შემდეგ იქვე გაიმართა მსჯელობა, თუ როგორ გამოვხმაურებოდით ბათუმელები საბჭოთა ხელისუფლების მიერ თბილისში გამოვლენილ მხეცობას. თავიდან გადავწყვიტეთ გაშლილი ეროვნული დროშით, რომელსაც იქვე ვაფრიალებდით, გაგვევლო ქალაქ ბათუმის ქუჩები და ავსულიყავით სოუქ-სუს ეკლესიასთან, სადაც ტრადიციულად ხშირად ვიკრიბებოდით ანალოგიური საკითხების გადასაწყვეტად. მაგრამ სანამ ქალაქში ჩვენი მარში დაიწყებოდა, მანამდე ძეგლთან მოვიდა ქალაქ ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების მილიციელთა მცირე ჯგუფი (7-8 კაცი) მათი უფროსის მეთაურობით. მილიციელები თანაგრძნობით შეხვდნენ ჩვენს აქციას, მათმა უფროსმა კი, უხამსი ჟესტით გამოხატა თავისი დამოკიდებულება თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო ჩვენ მიერ შავი სამკლაურების გაკეთებისადმი, რაზეც იქვე მიიღო სათანადო პასუხი. რიგითი მილიციელებისაგან მხარდაუჭერლობის გამო გაწბილებული „ნაჩალნიკი“, იძულებული გახდა თავისი რაზმითურთ იქაურობას სულ მალე გაცლოდა.

გაშლილი ეროვნული დროშით ოციოდე პატრიოტი ეკლესიისაკენ დაიძრა; მანიფესტაციას შემოუერთდა მხოლოდ ერთადერთი პიროვნება, მაშინ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის რეჟისორი მერაბ ლებანიძე. აქციის მონაწილეთა მიზანი იყო საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისათვის დაგვენახვებინა, რომ ქართველი ხალხის დაშინება შეუძლებელია და სანამ ქვეყანაზე იქნება თუნდაც ერთი ქართველი, მასში ვერავი ჩაკლავს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მისწრაფებას.

სოუქ-სუს სასაფლაოზე გამართულ შეკრებაზე გადაწყდა, რომ მეორე დღეს, 1989 წლის 10 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშინ ჯერ კიდევ პედინსტიტუტი იყო - უ. ო.) წინ, რუსთაველის ქუჩიდან ამავალ კიბეებთან და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაგვეტარებინა ხალხმრავალი საპროტესტო აქცია; მაგრამ მეორე დილით აქციაზე მოსული ხალხი და სტუდენტი-ახალგაზრდობა, ხელისუფლების მითითებით, ვიღაცამ უნივერსიტეტის შიგა ეზოში შეიტყუა და იქ ჩაკეტა. ეზოში ძლივს შევაღწიე და იძულებული გავხდით იქვე გაგვემართა საპროტესტო მიტინგი, რომლის შემდეგაც უნივერსიტეტის მიმდებარე ბულვარის ტერიტორიაზე გაშენებული იქნა 9 აპრილის თბილისის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ფიჭვების კორომი, სადაც შემდგომში დაიდგა მემორიალური ქვა წარწერით „9 აპრილის ცრემლი...“

აღნიშნულ აქციაზე მიღებული საპროტესტო რეზოლუციის თბილისში, ცენტრალურ ქართულ პრესაში გამოქვეყნება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რასაც მოყვა გარკვეული გაუგებრობანი აჭარის მიმართ, რაც, ჩვენი აზრით, მაშინდელი საქართველოს სსრ-ს მარიონეტული ხელისუფლებისაგან მართული პროცესის ნაწილს წარმოადგენდა.

უჩა ოქროპირიძე

„კაზუსის ამოხსნის გერმანული მეთოდიკა სისხლის სამართალში“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროფესორმა, ბსუ-ს საპატიო დოქტორმა თომას კრუსმანმა სემინარი ჩაატარა თემაზე: „გერმანული კაზუისტიკის მეთოდიკა ქართულ სისხლის სამართალში“. ლექცია მიზნად ისახავდა სწავლებას კაზუსის ამოხსნის გერმანულ მეთოდიკაზე შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე როგორც ანგლო-საქსური პრეცედენტული სამართლის, ისე გერმანულ სისხლის სამართალში გახმაურებული საქმის მეშვეობით. ასევე გაიმართა დისკუსია საკითხზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს პოლიციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ქმედება - წამების მუქარა ეჭვმიტანილის მიმართ მცირეწლოვანი მძევლის ადგილსამყოფლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ქართველ და გერმანელ იურისტებს შორის არსებული ინტენსიური ურთიერთობის საფუძველზე გერმანული დოქტრინალური თეორიები აქტიურად განიხილება ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში. უნივერსიტეტმა გამოხატა მზადყოფნა -ის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით ბსუ-ის სამართლის ფაკულტეტზე დაფუძნდეს გერმანული სამართლის მეთოდოლოგიური სწავლების გრძელვადიანი პროგრამა. ინტენსიური სემინარის დანიშნულებაა, შეაფასოს გერმანული სამართლის მეთოდოლოგიური სწავლების, როგორც იდეის პერსპექტიულობა; სწავლება ასევე ითვალისწინებს, განისაზღვროს რამდენად შესაძლებელია გერმანული კაზუისტიკის მეთოდოლოგიით ქართული სისხლის სამართლის სწავლება საუნივერსიტეტო სივრცეში.

ტყის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ტყის საერთაშორისო დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა ბოტანიკურ ბაღში გასვლით აღნიშნა. დალი ვარშანიძემ ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ლექცია წაიკითხა თემაზე: “ბოტანიკური ბაღის არსი და დანიშნულება“. ღონისძიების დასრულების შემდეგ, ახალგაზრდებმა ბოტანიკური ბაღი დაათვალიერეს და ბაღის თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა მცენარის ნერგები დარგეს. ტყის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1971 წელს დააწესა.

სტუდენტური ცხოვრების ეპიზოდები

სტუდენტური ცხოვრება — საინტერესო და მრავალფეროვანი, ვისთვის მიღწეული მიზანი და ვისთვის ისევ ოცნება.

„ცხოვრების ახალი ეტაპზე“ (როგორც მოვიხსენიებთ ხოლმე სტუდენტობას სკოლის დასრულების შემდეგ) გვიწევს რთულ და ამავდროულად საინტერესო სიახლეებთან შეჯახება. გიჩნდება ახალი მიზნები, ახალი გამოწვევები. გერქვას სტუდენტი, ნიშნავს ათენებდე ღამეს სწავლაში, ფიქრობდე კარიერულ წინსვლაზე და ზრუნავდე თვით რეალიზებაზე.

თავდაპირველად გიწევს შეეგუო ოჯახის მონატრებას (რა თქმა უნდა, თუ ოჯახისგან შორს, სხვა ქალაში გიწევს სწავლა-განათლების მიღება), უცხო გარემოს და უცხო ადამიანებს. უფროსკურსელები ახლებს თურმე „პინგვინებს“ გვინოდებენ. ერთ-ერთ მათგანს ვკითხე კიდეც, რატომ ვართ პირველკურსელები პინგვინები-მეთქი? მან კი ასე მარტივად მიპასუხა: არც ცხრილი იცით, არც აუდიტორიები, დერეფანში შეშინებული თვალებით დადიხართ, თითქოს ვიღაც მოსაკლავად მოგსდევთ და სილაბუსის წაკითხვას გირჩევნიათ ორუცნობიანი განტოლების ამონახსნის პოვნაო.. რა მეთქმოდა, როცა სიმართლეს ღაღადებდა ყმაწვილი.

ყოველი დღე იწყება სიტყვებით „აამ... გათენდა აუუ მეზარება წასვლა“ თუმცა სძლევ ცდუნებას. გახსენდება რამდენი იწვალე ამ სოციუმში მოსახვედრად და მიდიხარ ლექციაზე, რომელიც ზოგჯერ საინტერესოა, ზოგჯერ კი მოსაწყენი. „რა მინდოდა? რატომ ჩავაბარე“ — გიტრიალებს ფიქრები თავში, გაიხედავ გვერდით და დაინახავ იმ ათობით ადამიანს (კურსელებს), რომელებიც ზუსტად შენს მსგავსად ცდილობენ პასუხი გასცენ ზემოთ დასმულ კითხვებს და სადღაც გულის სიღრმეში გიხარია, რომ მარტო არ ხარ.... დილა ტრადიციული მისალმებით იწყება ,,პრივეტ როგორ ხარ?“ ,,გოგო, რა ქენი სემინარი მოამზადე?“ სემინარი სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთი რთული ეტაპია, განსაკუთრებით პირველ კურსზე, მაშინ როცა მიჩვეული ხარ სკოლის წიგნებში მზა ინფორმაციის კითხვას. აქ კი ყველაფერი პირიქითაა. უნივერსიტეტი აწყობილია ელექტრონულ სისტემაზე. არსებობს წიგნების ე.წ. დასკანერებული ვერსიები. მასალა ვრცელია და ამოუწურავი... თუ არც ლეპტოპი გაქვს და არც გამართული ტელეფონი, მაშინ ქსეროქსი გახსენდება. ეს აღმოჩენა სტუდენტისთვის იმ დროს ევრიკას ჰგავს... მაგრამ ზოგჯერ აქაც იმედი გიცრუვდება... იმხელა რიგია ქსეროქსის აპარატთან, რომ თავი 90-იანი წლების მოქალაქე გგონია, რომელიც პურის რიგში დგას და თავის გასატანად იძახის ბავშვიანი ვარ გამატარეთო...

თუმცა ყველაზე რთული პერიოდი იწყება მაშინ, როცა მოგიახლოვდება ის ფინალური ეტაპი, რომელსაც დასკვნითი გამოცდები ჰქვია. მარტივად რომ ავხსნათ, ეს არის პერიოდი, როცა უბრალოდ გენიოსის ტვინი გჭირდება, რადგან მთელი სემესტრის მასალა მაქსიმუმ 2-3 დღეში უნდა „ისწავლო“. ნერვიულობა პიკს აღწევს და ხვდები, რომ ჯობდა თავის დროს გესწავლა, თუმცა უკვე გვიანია... თითქმის ყოველ წამს ამოწმებ ელექტრონულ ჟურნალს შედეგების გასაგებად და აი ისიც...

დამიჯერეთ, არაფერი სჯობს იმ განცდას, როცა ამ სირთულეების მიუხედავად, გვირაბის ბოლოს შენც დაინახავ სინათლეს, ყველა გამოცდას ჩააბარებ და იმ მარადიულ კითხვას გასცემ პასუხს — აი, ამიტომ ღირდა წვალება... ახალი სემესტრიდან ყველაფერი თავიდან იწყება, თუმცა ეს ამად ღირს, რადგან სტუდენტობა საბოლოო ჯამში არის დიდი ცხოვრების გზა ნათელი მომავლისთვის.

ნათია ნანავა,
მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა “კორესპონდენტის” სტუდენტი

საუბრები ლიტერატურაზე

„ტექსტის გააზრების შედეგად იქმნება ახალი ტექსტი“

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ ესაუბრება ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ბატონი რამაზ ხალვაში.

— ლიტერატურა ძალზედ ტევადი და საინტერესო ცნებაა, ამა თუ იმ ერის ლიტერატურა კონკრეტული საზოგადოების ნიშან-თვისების, ხასიათის გამომხატველია..

— დიახ, ასეა, ლიტერატურა ყველაზე კარგად წარმოაჩენს ერის კულტურას, ხასიათს, ბუნებას. ამის დასტური ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანია“, რომელიც ყველაზე მეტად შეისისხლხორცა ქართველმა ერმა. ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. ამასთან დაკავშირებით ქართველი ემიგრანტის – ავთანდილ მერაბაშვილის ისტორიას გავიხსენებ: იგი საფრანგეთის სასამართლომ გაასამართლა კომუნისტების მიერ გადაბირებული გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობის გამო. მერაბაშვილს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, რასაც დაჟინებით ითხოვდა გარდაცვლილის ინტერესების დამცველი კომუნისტი ჰენრიხ ტორეზი. ამ დროს დარბაზიდან სიტყვა ითხოვა რუსმა ემიგრანტმა პოეტმა და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა კონსტანტინე ბალმონტმა, რომელმაც განაცხადა, რომ იგი წლების მანძილზე თარგმნიდა ქართველთა ყველაზე დიდი პოეტის შოთა რუსთაველის პოემას, რამდენჯერმე ეწვია საქართველოს და კარგად ჩასწვდა ქართველთა ხასიათს, რომელიც „ვეფხისტყაოსანშია“ გამოხატული. სწორედ ამ იდეალებზე იზრდებიან ქართველები, რომელთათვის ყველაზე მძიმე დანაშაული რწმენის, სამშობლოსა და მეგობრის ღალატია. ვეშაპელმა კი სამივე ეს ზნეობრივი პრინციპი დაარღვია და დაისაჯა კიდეც. ბალმონტის პოეტური და მჭევრმეტყველური საუბრის შემდეგ ნამდვილი სასწაული მოხდა, სასამართლომ გაითვალისწინა მისი არგუმენტები, მკვლელი გაათავისუფლა და მხოლოდ საფრანგეთიდან გასახლება მიუსაჯა...

— თქვენთვის ყველაზე საინტერესო თანამედროვე ლიტერატორები საქართველოში...

— ჩემთვის, როგორც ძველი ლიტერატურის სპეციალისტისთვის, ძველი ლიტერატურაც თანამედროვეა. ქართული ლიტერატურა არსებობს მე-4-მე-5 საუკუნიდან, ასე რომ მისი ისტორია 16 საუკუნეს ითვლის. ამ თვალსაზრისით, მრავალ ევროპულ ერს ვუსწრებთ წინ. მაგალითად, გერმანული ლიტერატურა მე-8 საუკუნიდან არსებობს. ამის თაობაზე ჩვენი გერმანელი მეგობარი, ცნობილი მეცნიერი იოსტ გიპერტი ხუმრობს, რომ გერმანელებმა „ხანმეტობის პერიოდი გამოტოვესო“. მე-8 საუკუნის საქართველოში ქართული სალიტერატურო ენის პირველი მნიშვნელოვანი რეფორმა ჩატარდა. რა თქმა უნდა, არსებობს უფრო ძველი ლიტერატურებიც, მაგალითად, ბერძნული, ჩინური და ა. შ. მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა 16-საუკუნოვანი ლიტერატურის მქონე ქვეყნები.

დღესდღეობით ერთმანეთის გვერდიგვერდ მოღვაწეობენ ძველი და თანამედროვე ლიტერატორები. ჩემი თაობიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი აკა მორჩილაძის შემოქმედებას, რადგან ყველაზე მეტად მის შემოქმედებაში ჩანს ჩემი თაობის სათქმელი და თანამედროვე პრობლემატიკა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, აგრეთვე, დათო ტურაშვილის შემოქმედება.

— ბატონო რამაზ, საიდან მოდის ლიტერატურა და რა არის მისი არსი?

— ლიტერატურა ადამიანის სულიდან მოდის, ოღონდ მასში მატერიალურ გამოხატულებას პოულობს, როცა იგი ლიტერატურულ ფაქტად იქცევა. სწორედ ეს არის ლიტერატურის პარადოქსი. ლიტერატურა აერთიანებს ავტორსა და მკითხველს დროსა და სივრცეში. თუმცა რამდენი მკითხველიც არსებობს, ტექსტის იმდენივე გააზრება შეიძლება არსებობდეს. უკვე დაწერილი ტექსტების აღქმა მუდმივად იცვლება, ეპოქიდან ეპოქამდე და მკითხველიდან მკითხველამდე. ყველა თავისებურად აღიქვამს „ვეფხისტყაოსანს“, „აბოს წამებას“ და „დიდოსტატის მარჯვენას“. ლიტერატურის ისტორიაში ავტორთან ერთად თანაბარი უფლებებით მონაწილეობს მკითხველიც. ცნობილი ფაქტია, რომ როცა ავტორის ხელიდან გამოდის ნაწარმოები, ავტორიც რიგით მკითხველად იქცევა. ეს როლან ბარტის თეორიაა, რომელიც საუბრობს ავტორის სიკვდილზე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოველი ახალი ავტორი ცდილობს თავის შემოქმედებაში ახლებურად გადაიაზროს ძველი ლიტერატურული ტრადიცია, დაუპირისპირდეს მას და შექმნას რაიმე ახალი და ღირებული. ეს უკვე ჰეროლდ ბლუმის კონცეფციაა, რომელიც ლიტერატურის ისტორიის მამოძრავებელ ძალად გავლენის ფროიდისტულ შიშს და ძველი ავტორების ახლებურ წაკითხვას მიიჩნევს.

— პირველი წიგნი, რომელმაც შეგაყვარათ ლიტერატურა და თავად ხომ არ გაგჩენიათ წერის სურვილი?

— პირველი წიგნი, რომელმაც შემაყვარა ლიტერატურა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაა“, რადგან დედაენამდე წიგნი მაქვს თუ არა წაკითხული, არ მახსოვს.

რაც შეეხება წერის სურვილს - არა მარტო მიცდია, არამედ ვწერ ახლაც, რადგან მე ვარ ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. კრიტიკა კი თანაშემოქმედებას ითხოვს. ტექსტის გააზრების შედეგად იქმნება ახალი ტექსტი. ამიტომ ვთვლი, რომ ახლაც ვწერ. ის პროდუქცია, რასაც მე ვქმნი, მონაწილეობს და რაღაც დონით ზემოქმედებს ლიტერატურულ პროცესზე.

— გყავთ თუ არა საყვარელი პოეტი/მწერალი?

— გამორჩეულად საყვარელია ის მწერალი, რომლის კვლევასაც დიდ დროს ვუთმობ. ძალიან დიდი დრო დავუთმე ტბელ აბუსერიძის კვლევას, ძველი ქართული ავტორების კვლევას, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევასაც. ასე რომ, ეს ტექსტები ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელია.

— ლიტერატურის ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში?

— არსებობს აზრი, რომ თითქოს ლიტერატურა აღარ არის პოპულარული დღევანდელ საზოგადოებაში, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებმა წიგნისთვის ადგილი არ დატოვა. ეს აზრი თავშივე მცდარია, რადგან ინტერნეტმა, პირიქით, პოპულარული და ხელმისაწვდომი გახადა წიგნი. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია სახლში, კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე გვქონდეს საკუთარი ციფრული ბიბლიოთეკა. დღემდე წიგნის ისტორიამ სამი ეპოქა განვლო: თავდაპირველად ლიტერატურა ხელნაწერი წიგნების სახით ვრცელდებოდა და მას მხოლოდ ელიტა ეცნობოდა. გუტენბერგის ცივილიზაციაში, როცა წიგნის დიდი ტირაჟები ბეჭდვა და გავრცელება დაიწყო, ლიტერატურა უფრო ფართოდ გავრცელდა. ინტერნეტის ცივილიზაციამ კი წიგნის და ლიტერატურის გავრცელების პრობლემა სრულებით მოსპო, ელექტრონული ვერსიებით გაცილებით მარტივად ვრცელდება ლიტერატურა დღეს, ვიდრე ხდებოდა ინტერნეტის შექმნამდე. მეტიც, ავტორისა და მკითხველის ურთიერთობამ სოციალური ქსელების მეშვეობით ინტერაქტიული ხასიათი მიიღო.

— არის დიდი განსხვავება ჩვენი და თქვენი თაობის მკითხველს შორის?

— ყველა დროს, ყველა თაობას აქვს თავისი ხედვის წერტილი. ყველა კითხულობს ლიტერატურას თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე. და გამოცდილება, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ, რა თქმა უნდა, განსხვავდება იმ გამოცდილებისგან, რომელიც ჩემს თაობას გააჩნდა. ტექსტის აღქმა სხვადასხვა თაობაში სხვადასხვანაირად ხდება. ბევრ სტუდენტთან მაქვს შეხება და მინდა გითხრათ, რომ უფრო ახალგაზრდა თაობა დღეს უფრო თავისუფლად, ლაღად აზროვნებს, ვიდრე ძველად იყო. თქვენი თაობის მკითხველი უფრო ინფორმირებულია, მაგრამ არ უნდა შეგვექმნას ილუზია, რომ ამგვარი ინფორმირებულობა განათლებასაც ნიშნავს. ასეა თუ ისე, ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის კრიზისისა და ინფორმაციის მოზღვავების ეპოქაში, როცა კლასიკურ ტექსტებზე მეტად მათი ეკრანიზაციებია პოპულარული, როცა ძალიან ბევრია, რის შესახებაც ვიცით, მაგრამ ძალიან ცოტა – რაც ვიცით. განათლების მიღების კლასიკური გზა კი ტექსტების საგულდაგულოდ წაკითხვაა. გადაკითხვით განათლებას ვერ მივიღებთ. შეუძლებელია სახანძრო მილიდან წყლის დალევა. ამიტომ წყაროები, ანუ წიგნები უნდა შევიყვაროთ, რა სახითაც არ უნდა არსებობდნენ ისინი, ბეჭდური გამოცემის, მისი ციფრული ასლის თუ ჰიპერტექსტის სახით.

ია ხოზრევანიძე,
სალომე ფრანგიშვილი

რა უნდა იყოს სიყვარულზე უკეთესი...

რა უნდა იყოს სიყვარულზე უკეთესი?! ის ხომ ყველაფრის სათავეა, მაცოცხლებელი, მაიმედებელი ადამიანთა ყოფისა, ყველაზე ლამაზი გრძნობა საზოგადოების ერთიანობის შესანარჩუნებლად; თუმცა საკითხავია, სუფევს თუ არა ჩვენში მსგავსი რამ?! 15 აპრილი სწორედ ამ გრძნობის ზეიმს ემსახურება. საზოგადოებას გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, გამოღვიძებას, გააქტიურებას ახსენებს და წყვილებს მოუწოდებს ორიგინალურობისკენ.

ჯერ კიდევ 1994 წლიდან აღინიშნება 15 აპრილი სიყვარულის დღედ, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, ყოველივე კი შოუ-ბიზნესის წარმომადგენელ ბესიკ ჩუბინიძის სახელს უკავშირდება. მან ერთ-ერთ ჩვენებაზე საზოგადოებას შესთავაზა, რომ 15 აპრილი ოფიციალურად კალენდარულ დღესასწაულებს შემატებოდა „სიყვარულის დღის“ სახელწოდებით. საკუთარი დაბადების დღის თარიღს დაამთხვია და საზოგადოება ერთობ გაახარა ამ იდეით. ამრიგად, ცოტა ხნის წინ ქართველებმა 15 აპრილი ოცდამეოთხეჯერ აღვნიშნეთ. ქართული სიყვარულის დღე ევროპული ვალენტინობის ანალოგადაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა ეს წყვილებს ხელს სულაც არ უშლის, მეტიც, ენთუზიაზმითა და ორიგინალურობით კვებავს მათ ურთიერთობას.

და მაინც, რა არის სიყვარული? ამ კითხვაზე პასუხი დიდ გაუგებრობას იწვევს, რადგან ერთი კონკრეტული განმარტება დღესაც არ მოგვეპოვება. თუმცა, ის უდავოა, რომ რაღაც ყველაზე დიდი და ძლიერია, რომელსაც შეუძლია მიზანს მიგაღწევინოს, არაადეკვატური საქმეები გაკეთებინოს და გამამართლებელ მიზეზადაც იქცეს. რომ დავაკვირდეთ, რა არის მსოფლიო ლიტერატურის მთავარი თემა? რაზე იგება ფილმები? რას ასხამენ ხოტბას დიადი პოეტები? ვის უმღერის სერენადებს? რას შესწირა თავი კლეოპატრამ? რა ასაზრდოებდა ბარათაშვილის პოეზიასა და ზოგადად მის ყოფას? რისთვის შთაბერა სული პიგმალიონმა გალათეას? რა თქმა უნდა, სიყვარულისთვის. ამ გრძნობამ ისტორიას ბევრი შესძინა, საზოგადოებას ბევრი „ომი“ გადაატანინა და ბოლოს მაინც სიყვარულმა გაიმარჯვა!

არ უნდა იყოს გასაკვირი ჩვენში 15 აპრილის მსგავსი დღესასწაულები, ეს ფორმალურად გვახსენებს სიყვარულის ძალას, ამ დღეს ძირითადად ახალგაზრდები აღნიშნავენ და ერთმანეთს ორიგინალურად ულოცავენ, დაწყებული შოკოლადის ფილით, დამთავრებული რომანტიკული გარემოს შექმნით. ყველაფერი მისაღებია, მთავარია გულწრფელობა. ზოგიერთი სწორედ ამ დღეს ამთხვევს ხელის თხოვნას.

საინტერესო ურთიერთობები კი, ხშირად უნივერსიტეტებში იწყება. არაერთხელ მსმენია, რომ წყვილის გაცნობის ადგილი სწორედ სასწავლო დაწესებულება გამხდარა და აქ წვევიათ სიყვარული.

საინტერესოა, რა ხდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. მათ თუ შესძინა ბსუ-მ საყვარელი ადამიანი? ხშირად მხვდება მოსეირნე წყვილები ბედნიერი სახეებითა და მოსიყვარულე თვალებით.

ერთ-ერთი ასეთი წყვილი მარიამ ბურკენაძე და ბექა მაკარაძეა. მათ როგორც გვიამბეს, ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს და მალევე ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირეს. წყვილი აპრილის თვეში ტრადიციული წესით დაინიშნა კიდეც. გეგმავენ, რომ ხელი სტუდენტური თვითმმართველობის კაბინეტში მოაწერონ. ეს სიმბოლურია, რადგან ბექა იყო სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და მარიამი ახლა არის ვიცე-პრეზიდენტი. 15 აპრილი მათთვისაც გამორჩეული დღე იყო საკმაოდ ორიგინალური მილოცვებითა და საჩუქრებით. მათთვის ეს პირველი 15 აპრილი იყო. წყვილს დიდი ბედნიერება ვუსურვოთ, ბსუ-ს კი ბევრი მომღიმარი სახე!

თინათინ კვაჭაძე,
მესამე საფეხურის
საგანმანათლებლო პროგრამა
“კორესპონდენტის” სტუდენტი

„ყველა პროგრამა გაივლის აკრედიტაციას“

სასწავლო პროცესი, აკრედიტაციასთან დაკავშირებული საკითხები, აკადემიური და მატერიალური რესურსი — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ქალბატონი თამარ სირაძე საუბრობს.

— სასწავლო პროცესი საუნივერსიტეტო ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომაც საუნივერსიტეტო კალენდარი წლის დასაწყისში დგინდება, სადაც მითითებულია 15 კვირის განმავლობაში შესაბამის აუდიტორიებში ლექცია-სემინარების ჩატარების გრაფიკი. ასევე, საუნივერსიტეტო კალენდარი წინასწარვე განსაზღვრავს დასვენების პერიოდს. რაც შეეხება რეიტინგული შეფასების კვირეულს, გაწერილია მე-9 კვირაში, ხოლო დასკვნითი გამოცდა — მე-16 კვირაში. სასწავლო პროცესი სტანდარტულია და გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.

— სტატისტიკურად, სტუდენტთა რა რაოდენობა და რა სიხშირით ესწრება სასწავლო პროცესს?

— სასწავლო პროცესს სტუდენტთა უმეტესობა სისტემატურად ესწრება. რაც შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებიც აცდენენ ლექცია-სემინარებს, შემიძლია ვთქვა, რომ გაცდენის მიზეზი ძირითადად სამსახურია. ამიტომაც ჩვენ გვაქვს შემუშავებული გრაფიკი, საკონსულტაციო საათები. სტუდენტს შეუძლია ამ საათების გამოყენება. შეუძლია მივიდეს ლექტორთან და მიიღოს ლექციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე შეუძლია სემინარის ჩაბარება და ნიშნის მიღება. ამ მხრივ, ჩვენგან ყველანაირი ხელშეწყობაა.

— რას გვეტყვით ახალი პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ?

— პროგრამებთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ პროცესები წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს, ძირითადი ყურადღება ავტორიზაციის პროცესზეა გადატანილი, ავტორიზაციას გავდივართ რამდენიმე წელიწადში ერთხელ. საპილოტე უკვე გავიარეთ და იმედი მაქვს, წარმატებით გავივლით ავტორიზაციასაც. რაც შეეხება ახალ პროგრამებს, ის შემოდის აკრედიტაციის შედეგად. ყველა პროგრამა სხვადასხვა პერიოდში გაივლის აკრედიტაციას. ეს კი საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამ ეტაპზე ხდება რამდენიმე პროგრამის დამუშავება და აკრედიტაციის გავლის შემდეგ ამ პროგრამებს დავამკვიდრებთ უნივერსიტეტში. ასევე გვაქვს სიახლე დაწყებითი განათლების პროგრამასთან მიმართებაშიც. სწავლა 5-წლიანი ხდება. ეს იქნება გაუმჯობესებული ვერსია ამ სპეციალობისა, რომელიც უფრო მეტი პრიორიტეტით ისარგებლებს.

— შეინიშნება თუ არა რაიმე პრობლემები აკრედიტაციასთან დაკავშირებით?

— ცალკეული პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით ის პრობლემებია, რომ ზოგიერთი მოძველდა და განახლებას საჭიროებს, გასაახლებელია ბიბლიოთეკაში ძირითადი სახელმძღვანელო ლიტერატურა, რომლის მიხედვით სილაბუსებია გაწერილი. ჩვენს უნივერსიტეტში ყველა პროგრამამ უნდა გაიაროს აკრედიტაციის პროცესი. აკრედიტაციისთვის ყველა პროგრამა შემოწმებული და განახლებული იქნება. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს ბაზა იმისა, რომ აკრედიტაციის პროცესი წარმატებით წარიმართოს.

— ქალბატონო თამარ, უნივერსიტეტში როგორია ამჟამინდელი აკადემიური და მატერიალური რესურსი? იგეგმება თუ არა რაიმე ცვლილებები?

— აკადემიური რესურსი დღითიდღე იზრდება. რაც შეეხება მატერიალურ რესურსებს, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს როგორც ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდით, ასევე მათი ელექტრონული ვერსიებით, ბიბლიოთეკა ინტენსიურად მარაგდება საჭირო ლიტერატურით, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია — სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულდა, გარემონტდა ბიბლიოთეკა და უახლოეს პერიოდში დაიწყებს ფუნქციონირებას. უნივერსიტეტში კომპიუტერული აღჭურვილობა პერიოდულად ახლდება. სტუდენტებისთვის გამოყოფილია ახალი სივრცეები. თითოეული ცვლილება მიმართულია სტუდენტის მოტივირების, განვითარებისა და კომფორტისაკენ.

— თქვენი აზრით, რა პრიორიტეტი გააჩნია ჩვენს უნივერსიტეტს?

— ჩვენი უნივერსიტეტის პრიორიტეტად მიმაჩნია ის, რომ იგი რეგიონში მოქმედი უძლიერესი საგანმანათლებლო ცენტრია, რომელიც დღითიდღე ვითარდება. ჩვენ პირნათლად ვემსახურებით დასავლეთ საქართველოს. ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები უპირველესად შეძლებენ განათლების გაღრმავებას უცხოეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს და ვიმედოვნებ, მომავალშიც მრავლად იქნება. ვფიქრობ, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც სტუდენტს შეუძლია საფუძვლიანი უმაღლესი განათლების მიღება, ამის ბაზა ჩვენს უნივერსიტეტს გააჩნია. აქ მიღებული განათლება მათთვის მომავალი წარმატების გარანტიაა.

მანანა დევაძე

პროგრამის „ახალგაზრდა მეწარმე“ წარდგენა გაიმართა

საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი (ჩ) კავკასია - ბათუმის ოფისის წარმომადგენელმა სერგო ბარამიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმის“ წარუდგინა და მასში მონაწილეობის პირობები გააცნო. პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესგეგმების შემუშავებას და ბენეფიციარებისთვის დახმარების გაწევას გრანტების მისაღებად. „ახალგაზრდა მეწარმის“ პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ გრანტი და დაიწყონ საკუთარი ბიზნესი. ასევე მარკეტინგის, ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს ექნებათ საშუალება ჩაერთონ პროგრამის მომსახურებაში ექსპერტების სახით.

„თანაბრად უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის როლი“

გაზაფხული წელიწადის სიცოცხლის საწყისია. სწორედ წელიწადის ამ დროს აღვნიშნავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს. ჩვენს უნივერსიტეტს ძალიან ბევრი ქალბატონი ამშვენებს ფიზიკური და ინტელექტუალური სინთეზით.

ნომრის სტუმარია ქალბატონი გული შერვაშიძე, რომელიც ფილოსოფიურ-პედაგოგიურ შეხედულებებს გვიზიარებს:

— დედის როლი ჩემთვის სითეთრესთან ასოცირდება. დედა უნდა იყოს ყოველთვის ფაქიზი, კეთილშობილი, სიცოცხლის სიმბოლო, სხვანაირად ვერ წარმომიდგენია დედა და ზოგადად, ქალი. დღესასწაულების — 8 მარტისა და 3 მარტის ორად გაყოფას არ ვიზიარებ, ვინაიდან დედას და ქალს ერთმანეთთან ვაიგივებ.

თუ რაიმე შავდება ურთიერთობის კულტურაში, ასევე სიძულვილის ენის დამკვიდრებაში, აგრესიის მოძალებაში, ყოველთვის ქალს უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვაკისრებ, რადგან ქალის როლი ძალიან დიდია, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება იყოს შვილისთვის, ეს არის დედის არ ყოფნა მის გვერდით. ვინც მატერიალურად ფეხზე მყარად დგას, შვილს ძიძას აზრდევინებს, ან პირიქით: ვისაც უჭირს, მძიმე სამუშაო პირობების გამო, იძულებული ხდება დატოვოს შვილი. დიდმა ვაჟამ თქვა; „უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისაო“. ფაქტიც სახეზე გვაქვს...

— ქალბატონო გული, როგორ ფიქრობთ, დედობისათვის თუ არის განსაზღვრული ასაკი?

— ვფიქრობ, ასაკი მნიშვნელოვანი ფაქტორია დედობისათვის, რათა ქალს კარგად ესმოდეს რას ნიშნავს შვილის ყოლა და როგორი დიდი პასუხისმგებლობაა დედობა. იდეალური ასაკი დედობისათვის მიმაჩნია, რომ 25 წლიდან 35წლამდეა.

— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ გამოთქმა: „ასეთ დედას ასეთი შვილი არ უნდა ჰყავდეს“. ყოველთვის დედის ბრალი შეიძლება იყოს შვილის ზნეობრივი თუ უზნეო საქციელი, ვაკისრებთ თუ არა მას ზედმეტ პასუხისმგებლობას?

— სამწუხაროდ, ეს დედის მძიმე ხვედრია, ეს არის ჩვენი ქალებისადმი დამოკიდებულების გამოხატულება. ნამდვილად არ უნდა დაეკისროს შვილის აღზრდაში მთელი პასუხისმგებლობა დედებს. დედისა და მამის მოვალეობა თანაბრად უნდა იყოს განაწილებული. მხოლოდ ქალზე დაკისრება შვილის აღზრდისა არ არის მიზანშეწონილი, მითუმეტეს ვაჟის გაზრდა მამის გარეშე ძალიან ძნელია. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელზეც მუდამ ვამახვილებ ყურადღებას, ეს არის მამაკაცების ნაკლებობა სკოლაში, შეიძლება ითქვას — „არ არსებობა“. ჩვენს ქვეყანაში 95% ქალი მასწავლებლები ასწავლიან. ქალებს ეკისრებათ თაობების აღზრდაში დიდი როლი. ვფიქრობ, აქაც თანაბრად უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის როლი.

— როგორ ფიქრობთ, უნდა იყვნენ თუ არა ქალები საჯარო სამსახურებში?

— ქალის ყოფნა საჯარო სამსახურში აუცილებელი და სავალდებულოა. შესაძლოა, თანაბარი პროპორციით არ იყოს მოვალეობები გადანაწილებული, მაგრამ უნდა იყოს, რადგანაც ქალი ანეიტრალებს კონფლიქტურ სიტუაციებს, ხშირ შემთხვევაში შუამავლის როლშიც გამოდის.

— რას უსურვებდით ქართველ ქალებს?

— აყვავებულ, გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას და ღირსეული შვილების გაზრდას, რომელი შვილებიც ოჯახისა და ქვეყნის სამსახურში იქნებიან.

ლია ბოლქვაძე

მართლმადიდებლური სწავლება დაფუძნებულია განათლებაზე

ბათუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი იოანე გორელიშვილი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს ბათუმის სახელწმიფო უნივერსიტეტს და ასევე გვესაუბრება განათლებისა და რწმენის მნიშვნელობაზე ახალგაზრდის ცხოვრებაში. ფიქრობს, რომ ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა უნდა გავდეს ღვთისმსახურებას. ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ თავისი ნებისმიერი საქმით ღმერთს ემსახურება. ამიტომ უნდა აღასრულოს სინდისიერად, სიკეთით და სიყვარულით .



ლია ბოლქვაძე, სარედაქციო კოლეგიის წევრი

—მამა იოანე, რამდენად დიდია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მნიშვნელობა საეკლესიო დღესასწაულთა შორის და რა სიმბოლური დატვირთვა აქვს მას?

— მინდა ყველას მივულოცო დღესასწაულთა დღესასწაული აღდგომა ჩვენი ქრისტე მაცხოვრისა, მათ შორის, არარელიგიურ და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებსაც, რადგან ეს არის საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ პირველი ადამიანი, რომელიც გახლდათ ადამი, ეშმაკმა აცდუნა. მან გასინჯა ხე შეცნობის სიკეთისა და ბოროტებისა, რითიც გამოიჩინა ურჩობა ღვთის წინაშე. თავისი თავი დაუმორჩილა ცოდვებს, რითიც დაიზიანა ბუნება, უკვდავებიდან სიკვდილისაკენ მიიქცა და დაკარგა სამოთხე. რადგან ადამიანმა ეს ყოველივე თავისი თავისუფალი ნებით გააკეთა, აუცილებელი გახდა, რომ ისევ საკუთარი თავისუფალი ნებითვე და ღვაწლით აეღო რევანში ეშმაკთან და დაბრუნებულიყო ცათა სასუფეველში, სამოთხეში, თუმცაღა ეს ადამიანის ძალებისთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ კაცთმოყვარე ღმერთმა, რომელსაც არ უნდა არავის წარწყმედა და სიკვდილი, არამედ მოქცევა და ცხონება მათი, მიიღო ხორციელი ბუნება, ჩამოვიდა დედამიწაზე როგორც ადამიანი. უფალმა საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა კაცობრიობას. თითოეული ჩვენგანის გამოხსნას, რითიც დაგვანახვა და მოგვცა მაგალითი სიყვარულისა და თავდადების. მან ასევე თავისი საკუთარი ცხოვრებით მოგვცა მაგალითი და დაგვიტოვა მცნებები, გვასწავლა სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადამიანისა, რაზეც არის მთელი ქრისტიანული მოძღვრება აგებული. მან სიკვდილით სიკვდილი დაამარცხა. აღდგა მკვდრეთით და თითოეულ ჩვენგანს მოგვცა სიკვდილის შემდგომ აღდგომის და უკვდავების საშუალება. ასევე აღდგომიდან მეორმოცე დღეს უფალი ამაღლდა და დაჯდა მარჯვენით მამისა დიდებაში. ამით ჩვენ მოგვცა საშუალება, კვლავ ავმაღლდეთ ღმერთამდე და დავიმკვიდროთ ადგილი ცათა სასუფეველში. სწორედ აღდგომის დღესასწაული კიდევ ერთხელ შეხსენებაა კაცობრიობისათვის, რომ ღმრთის ძემ, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვით კაცობრიობა ბოროტების ტყვეობიდან გამოისყიდა და ადამიანს ღვთის შვილობის ღირსება დაუბრუნა.

— მამა იოანე, ახერხებს თუ არა დღეს მორწმუნე მრევლი ამაღლდეს ეშმაკზე და რა გარე ფაქტორები შეიძლება ჩაითვალოს ხელისშემშლელად?

— მრევლი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: მრე ვეყავ ეშმაკს და თუ ჩვენ ამ მნიშვნელობით ვსაუბრობთ მრევლზე, ეს ნიშნავს, რომ ის უკვე არის გამარჯვებული, რომ მოერია ეშმაკს. ე.ი ის გაიზარდა სულიერად და ახლაც ზრდის პროცესშია. სამწუხაროდ, დღეს ადამიანს ყურადღების მიღმა რჩება ის უცვლელი ჭეშმარიტება, რომ ერთ დღეს გარდაიცვლება და მას ვერცერთი მოკვდავი ვერსად გაექცევა. ადამიანი არ უღრმავდება თავის თავს, ამას ემატება ისიც, რომ შემოსულია უამრავი გასართობი საშუალება. ეს არის ფაქტობრივად ეშმაკის ფანდი ისევ ადამიანის ხელით შექმნილი, რომ ადამიანმა ყურადღება გადაიტანოს სხვა ნებისმიერ საკითხზე გარდა მისი სულისა. სოციალური ქსელები და სოციალური მედია ხელს უწყობს ადამიანის გონების არასასურველი ინფორმაციით დატვირთვას, რომ არ დარჩეს დრო საკუთარ თავის, სულის შემეცნებისთვის, მაგრამ სამაგიეროდ წააქეზებს მას, რომ განიკითხოს, განსაჯოს სხვა. ადამიანის მთავარი მიზანი საკუთარი თავის ზნეობრივად სრულყოფა უნდა იყოს. ნამდვილად რთულია დღევანდელ პირობებში შეინარჩუნო ეს თვისება, მაგრამ ესეც ერთგვარი განსაცდელია ჩვენივე ცოდვების დასანახად მოვლენილი, რომელსაც ღვთის ჭეშმარიტი რწმენით აუცილებლად დაძლევს ადამიანი.

ადამიანმა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, გარკვეული ცოდნაც დააგროვა, მაგრამ ის მაინც უკმაყოფილოა. ამის მიზეზი არის ის, რომ ადამიანი ცდილობს სამოთხე ამ ქვეყნად მოიწყოს და ავიწყდება, რომ ეს ის ადგილია, სადაც სამოთხიდან გამოდევნილმა შეაფარა თავი და მნიშვნელოვანი არა ჰორიზონტალური ხედვაა, არამედ ვერტიკალური, რადგან გვავიწყდება ღმერთი, გვავიწყდება ზემოთ ახედვა...

— როგორია რწმენისა და ცოდნის თანხვედრა ქრისტიანულ რელიგიაში?

— პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ მცდარია წარმოდგენა თითქოს რწმენა ცოდნას ვერ ურიგდება და არ შეიძლება მორწმუნე ადამიანი ღრმად განისწავლოს და რომ ღვთის არსებობის დამტკიცებისა თუ შემეცნების მიზნით კითხვის დასმა მკრეხელობაა. მართლმადიდებლური სწავლება დაფუძნებულია განათლებაზე, სიტყვა განათლებაც ქრისტეს ნათელთან არის დაკავშირებული და ფაქტოვრივად მართლადიდებლობა ერთ-ერთი ყველაზე წიგნიერი რელიგიაა. ეკლესია ყოველთვის მზად არის გასცეს პასუხები კითხვებს და დაეხმაროს ადამიანს ღვთის ძიებაში. სასულიერო პირი კი არის ის ადამიანი, ვინც მორწმუნეს ქრისტიანული ცოდნის მიღებაში ეხმარება. ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს საქართველოს დიდებული ისტორია და ქართული კულტურა, იყვნენ განათლებული ქრისტიანები, ეს არის სწორედ მაგალითი იმისა, რომ მართლმადიდებლური რწმენისა და ცოდნის თანხვედრა სრულყოფს ადამიანს და მას ქვეყნის კეთილღეობისათვის მებრძოლად განაწყობს. ჩვენ ასევე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ძველად ხალხი წერა-კითხვასაც კი ეკლესია-მონასტრებში სწავლობდა. პირველი სასწავლებელი სერაპიონ ზარზმელმა მეექვსე საუკენეში დაარსა. ასევე გელათის და იყალთოს აკადემია, რომელიც მეათე საუკუნეში ეკლესიამ შექმნა. საერო სასწავლებელი ჯერ სულ რაღაც 1 საუკუნეა, რაც დაარსდა. პირველი ნაწარმოებები: „შუშანიკის წამება“, „აბო ტფილელის მარტვილობა“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტაოსანი“, ილიას, ვაჟას თუ გალაკტიონის შემოქმედება — ეს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღია, რითაც ჩვენ ყველა გავიზარდეთ. ჩვენი ქვეყნის კულტურა, ზნეობა და ტრადიციებიც კი მართლმადიდებლობით საზრდოობს და ბოროტი და მატყუარაა ის, ვინც ეკლესიას ბნელს ან გაუნათლებელს უწოდებს, რადგან ჩვენ აღვნიშნეთ, რომ განათლების საფუძველი თავად მართლმადიდებლობაა. ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც რიგითი, ასევე ის ადამაინები, რომელთაც ქვეყნის ბედი აბარიათ, ვინც მასწავლებლის სტატუსს ატარებს და რომლებიც იღებენ პასუხისმგებლობას ახალგაზრდები განსწავლონ, თავად არ აქვთ მიზანი სიღრმისეულად შეისწავლონ, შეიმეცნონ ღმერთი, სამყარო და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზით ცდილობენ ცოდნის ერთი ადამიანიდან მეორისთვის გადაცემას. აუცილებელია, გვესმოდეს, ჭეშმარიტი რწმენისა და განათლების მნიშვნელობა.

— რა მთავარი გამოწვევის წინაშე დგას დღეს ახალგაზრდობა და როგორ უნდა გაუმკლავდნენ ისინი ამას?

— მას უნდა გააჩნდეს სწორი ღირებულებითი ორიენტაცია, უნდა ესმოდეს ის თუ რატომ იღებს განათლებას, რომ ის ჯერ საკუთარი თავის შემეცნებას უნდა მოახმაროს და არ უნდა დაავიწყდეს, რომ საკუთარი თავის შემეცნება იწყება ღვთის არსის წვდომიდან. თავის მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდისათვის ჯანსაღად სააზროვნო გარემოს შექმნა. ასევე, პირველი ნაბიჯი იქნება მედიის კონტროლი, რაც შეიძლება მეტი შემეცნებითი გადაცემები შეიქმნას, მედია უნდა იყოს ჩვენსავე განათლებაზე ორინტირებული და რაც მთავარია, საჭიროა სახელმწიფოსაგან განათლების სფეროზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. სამწუხაროდ, დღეს როგორც უკვე ვთქვით, ადამიანს სიღრმე აკლია, ის ზედაპირული გახდა, ამდენად აუცილებელია მეტად გვესმოდეს ის, რა გვინდა და ის, რა გვევალება, გვაკისრია...

— მამა იოანე, რას უსურვებთ გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ მკითხველს?

— მინდა სტუდენტებს ნამდვილი წარმატება ვუსურვო, მიეღწიოთ ისეთი წარმატებისთვის, რომელიც ჯერ არც კი წარმოუდგენიათ. ვუსურვებ იპოვონ საკუთარი თავი და პირველ რიგში, იმ საქმის სიყვარული, რომელსაც აკეთებენ, შემდეგ ეს საქმე მოახმარონ არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სამშობლოს. ვუსურვებ არამხოლოდ ხორციელ წარმატებას, არამედ სულიერსაც. ღმერთმა გვაცხონოს ორთავს სოფელსა შინა!

„ამოსავალი წერტილი თავად ადამიანია“

თავისუფლების სუნი სხვაგვარი რამაა, მისი შეგრძნება კი დიადი, თავისუფალი ნებაა იყო ის, ვინც გინდა... მიუძღვნა თავი სფეროს, რომელიც გიყვარს და შენ გაქვს ნება არჩევანის. ეს რაღაც სხვაა იპოვო საკუთარი თავი მრავალფეროვან სამყაროში და შენ ირჩევ, რა კუთხიდან გინდა იძიო სამყაროს არსი, მთავარი გადაწყვეტილების ბარიერს რომ გადალახავ, უერთდები იმ გარემოს, სადაც ცოდნის ზეიმია.

შენ ხარ ერთი დიდი ორგანიზმის ნერვული დაბოლოება იმ პერსპექტივით, რომ სამომავლოდ მნიშვნელოვანი ორგანოს მთავარი ნაწილი გახდები. გონების ნათელში მოქცევა მთავარი მისიაა, ვინაიდან პიროვნებად კი არ იბადებიან, არამედ ყალიბდებიან. ჩამოყალიბებას კი განათლება განაპირობებს. მრავალი როლი, რომლის მორგებაც გვიწევს ეტაპობრივად სირთულეებს უკავშირდება, რასაც მხოლოდ ცოდნა ამარტივებს, გონების წვრთნის პროცესი მძიმეა, თუმცა მსუბუქად სატარებელი, ხოლო სიცარიელე სიბნელეა, სადაც ხელების მოძრაობით გზის გაკვლევა შეუძლებელიცაა და დამღლელიც. ნუ შეუშინდები დაბრკოლებებს, ყოველის გადალახვა სიამოვნებაა, ამ სიამოვნების საკუთარ თავში ჩაკეტვა და მალვა ბოროტებაა, ცოდნის რეალიზება აუცილებელია, ვინაიდან გონების განსწავლა უწყვეტი პროცესია. ხოდა გაეცით რაც წაგიკითხავთ, რაც კი გიხილავთ, რაც კი გსმენიათ, არ ცოდნა ხომ ბოროტებაა ადამიანო, ცოდნის არ გაცემაც სიბოროტეა ჭეშმარიტად...

ადამიანად ქცევის შესაძლებლობა მიეცეს მას, ვინც ისურვოს. ვინც არ ისურვა ბნელია და იგი ვერ სრულყოფს საკუთარ თავს, თუმცა სრულყოფილებაც ნაკლოვანია სრულყოფილების გარეშე, მასთან ახლოს ყოფნაა სასურველი, ყველაფერ არსებულს ღირებულად თავის თავი აქცევს, არც ადამიანია გამონაკლისი, ადამიანად ქცევა დიდი ამოცანაა, ამოსავალი წერტილი თავად ადამიანია, ის ჭურჭელია, რომლის ამოვსებაც სიცოცხლის ბოლო წამამდე ხორციელდება, გონების კვდომა მძიმე ხვედრია ადამიანის, თუმცა ცოდნა არასოდეს ეძლევა დავიწყებას, იგი ცოცხალი ორგანიზმია, რთულად აგებული. იარეთ იქ, სადაც სირთულეა და ჰპოვებთ იქ, სადაც ყველაზე ძალიან დაგჭირდებათ...

ნინო კახიანი,
პროფესიული სწავლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა "კორესპონდენტის" სტუდენტი

სახელოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისაა

სწრაფად იცვლება დღეს მოვლენები, იცვლება ღირებულებები, მაგრამ არსებობს ფასეულობები, რომლებიც თავიანთი როლისა და დანიშნულების მიხედვით არ ექვემდებარება მოვლენათა მდინარებას, გარემოებათა ცვალებადობას. საქართველოსთვის ერთ-ერთი ასეთი სიმდიდრეა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ალბათ გაგვიჭირდება დავასახელოთ მსოფლიოში მეორე ისეთი უნივერსიტეტი, რომელიც დასაბამიდანვე მტკიცე ეროვნულ ნიადაგ ზე აღმოცენებულიყოს და იმდენი სიკეთე მოეტანოს ერისთვის, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. იგი არის ჩვენი ერის ჭეშმარიტი ტაძარი, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის უქრობი კერა.

შემთხვევითი არაა, რომ ქართველი ერის ცნობიერებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეროვნულ სიამაყედ, ჩვენი სულიერი შესაძლებლობების თავისებურ სიმბოლოდ და განუმეორებელ ეროვნულ ფენომენად აღიქმება. უნივერსიტეტისადმი ასეთი და-მოკიდებულება კი მომდინარეობს თვით მისი მესვეურებისაგან. დიდი ივანე ჯავა¬ხიშვილი თურმე ყოველთვის ქუდს მოიხდიდა, მოკრძალებით შეხედავდა და ისე შეაბიჯებდა უნივერსიტეტის კარიბჭეს. უნივერსიტეტისადმი ამაღლებული დამოკი¬დებულების ჩამოყალიბებაში, ცხადია, თავისი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ უნივერსიტეტის ბრძენმა მესვეურებმა მისი გახსნა დაამთხვიეს დიდი ქართ¬ველი მეფის - დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. დიახ, თბილისის უნივერსიტეტი გაიხ¬სნა 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს). მთელმა ერმა იზეიმა ეს ისტორიული დღე. მაშინდელი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მშენებ¬ელი და თვალსაჩინო მოღვაწე აკაკი ჩხენკელი, რომელმაც საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით გახსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, ასე იგონებს ამ დღეს: „ჩემთვის ძნელია მოგონება რა ვთქვი ამ დღეს თავმჯდომარის სავარძ-ლიდან. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი მღელვარება, გულის ტოკვა, რომელიც განვიცადე. და განა მარტო მე! ამავე განცდას ადვილად ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზეც. დიდი იყო მათი რიცხვი, ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი, ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოში ბევრი კანკალებდა სიცივისაგან, მაგრამ ხალხი მაინც იდგა და უერთდებოდა დარბაზიდან მიღებულ ოვაციებს“.

დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი არსებობის 100 წლის იუბილეს ზეიმობს. სახელოვანმა იუბილარმა, ჩვენმა ჭეშმარიტად ეროვნულმა ტაძარმა წარმატებით შეასრულა თავისი ძირითადი მიზან¬დასახულობა - სამშობლოს აღუზარდა ესოდენ საჭირო პირველი ეროვნული კადრე¬ბი, საფუძველი დაუდო მეცნიერული კვლევა-ძიების მრავალ მიმართულებას და ამით პირნათლად მოიხადა ვალი დიდი ილიას ანდერძის წინაშეც.

თბილისის უნივერსიტეტი საქართველოში კი არა, კავკასიაში იყო პირველი უნივერსიტეტი და არაქართველი მოსახლეობის წინაშეც დიდია მისი დამსახურება. ამ მხრივ ნიშანდობლივია ჩრდილოეთ ოსეთის მასწავლებელთა საბჭოს მიმართვა ახალგახსნილი უნივერსიტეტის მესვეურებისადმი: „ოსებისათვის უმაღლესი განათ¬¬ლების მიღება საქართველოს უნივერსიტეტში უაღრესად სასურველია, რამდენადაც საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და ყოფის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ ოსეთის ისტორიის, ლიტერატურისა და ყოფის სრულად შესწავლაზე“. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია, მით უფრო დღევანდელი გადა¬სახედიდან.

საიუბილეო წერილში, ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველს მოვუთხრო იუბილარი უნივერსიტეტისა და მისი პირველი - სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტის მოკლე ისტორია და, როგორც ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, მოვიგონო ჩემი 50 წლიანი ხანდაზმულობის სტუდენტური (და არა მარტო სტუდენტური) შთაბეჭდილებებიც.

თავდაპირველად უნივერისტეტი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი -სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიის ფაკულტეტით. მეამაყება, რომ მეც ამ ფაკულტეტის (ფსიქოლოგიის სპეციალობის) კურსდამთავრებული ვარ. არასოდეს დამავიწყდება, რომ 50 წლის წინათ, უნივერსიტეტის ნახევარსაუკონოვან იუბილეს, ჯერ კიდევ მის კედლებში მყოფმა გონიოელმა სტუდენტმა, გამოვეხმაურე პატარა წერილით, რომელიც დაიბეჭდა იმდროინდელ გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ (2.10.1968, □209) სათაურით - „შენი კალთიდან“. სათუთად ვინახავ უკვე გაყვითლებული გაზეთის ამ ნომერს, რომელშიც ილია ვეკუას, აკაკი შანიძის, მათე მირიანაშვილის, იასე ცინცაძის, ალექსანდრე ნოღაიდელის, ხარიტონ ახვლედიანის და სხვა გამოჩე¬ნილი ადამიანების საიუბილეო წერილებისა და მოგონებების გვერდით დაბეჭდილია ჩემი მოკრძალებული წერილიც.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველ დეკანად არჩეული იყო დიდი ქართ¬ვე¬ლი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც პეტრე მელიქიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთა¬დერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“.

უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი აკაკი შანიძე იხსენებს: არავის ეეჭვებოდა, რომ ახლად დაარსებული უნივერსიტეტის რექტორი უნდა ყოფილიყო ივანე ჯავა¬ხიშვილი, მაგრამ სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით, ოდესის უნივერსიტე¬ტიდან ჩამოიყვანეს ევროპაში უფრო ცნობილი მეცნიერი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი და მას ჩააბარეს ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის სავარძელი. ასე განსაჯა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, ვინაიდან ასე სჭირდებოდა ეროვნულ საქმეს.

უნივერსიტეტში სტუდენტებს, სხვებთან ერთად პირველ ლექციებს უკითხავდ¬ნენ ახალგაზრდა პროფესორები - დიმიტრი უზნაძე და შალვა ნუცუბიძე, რომლებმაც შემდეგ მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში რიგით მესამე ლექცია, ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის შემდეგ წაიკითხა დიმიტრი უზნაძემ, რითაც იმთავითვე გაესვა ხაზი ფსიქოლოგიური მეცნიერების ადგილს საუნივერსიტეტო სწავლებაში.

აკად. დიმიტრი უზნაძის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული მეცნიერული ფსიქოლოგიის დაფუძნება-განვითარება. დღიდან მისი დაარსებისა გარდაცვალებამდე (1950 წელი) იგი სათავეში ედგა უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრას. დიმიტრი უზნაძე ავტორია საქვეყნოდ ცნობილი ახალი ფსიქოლოგიური კონცეფციისა, რომელსაც მსოფლიო ფსიქოლოგიური საზოგადოება იცნობს განწყო¬ბის თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიის ექსპერიმენტულ შესწავლა-განვითარე¬ბაში დიდი წვლილი შეიტანეს სწავლულის მოწაფეებმა: აკადემიკოსებმა ა. ბოჭორიშ¬ვილმა, რ. ნათაძემ. ა. ფრანგიშვილმა, პროფესორებმა მ. ნორაკიძემ, ზ. ხოჯავამ, ბ. ხაჭაპურიძემ, შ. ჩხარტიშვილმა, შ. ნადირაშვილმა და სხვებმა. მათი გამოკვლევები, ძირითადად, უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში იყო შესრულებული. სწორედ თბილისის უნივერსიტეტს და მის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანს - დიმიტ¬რი უზნაძეს დაეკისრა ისტორიული მისია დაეფუძნებინა ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერება, შეექმნა ქართული ფსიქოლოგიური ლიტერატურა, დაემუშავებინა ქარ¬თუ¬ლი ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია და აღეზარდა ქართველ ფსიქოლოგთა პირველი კადრები.

თბილისის უნივერსიტეტის როლი ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების გან-ვითარებაში იმდენად დიდი იყო, რომ 1941 წელს ახლად ჩამოყალიბებულ საქარ¬თვე¬ლოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში იმთავითვე გაითვალისწინეს ფსიქო¬ლო¬გიის ინსტი¬ტუ¬ტი, რომელიც იყო პირველი ასეთი ინსტიტუტი ყოფილ საბჭოთა იმპერიაში, მისი დირექტორი დ. უზნაძე კი - პირველი აკადემიკოსი ფსიქოლოგთა შორის. აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში უმაღლესი სამეცნიერო (სადოქტორო) ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭო ბოლო პერიო¬დამდე მხოლოდ მოსკოვსა და თბილისში არსებობდა, რაც კარგად მიუთითებს დ. უზნაძის მიერ დაარსებული ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დიდ მეცნიერულ წონაზე, რაც თავის დროზე აღიარეს ფსიქოლოგიის უცხოელმა კლასიკოსებმაც - ფრანგმა ჟ. პიაჟემ და რუსმა ლ. რუბინშტეინმა. დიდად სამწუხაროა, რომ ეს ინსტი¬ტუტი დღეს-დღეობით გაუქმებულია.

1950 წლიდან 1984 წლამდე (გარდაცვალებამდე) უნივერსიტეტის ზოგადი ფსი¬ქოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი რევაზ ნათაძე. იგი იყო არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი და ვირტუოზი ექსპერიმენტატორი, არამედ სწორ¬უპო¬ვარი ლექტორი და პედაგოგი. სტუდენტობის დროს ბედნიერება მქონდა სისტემა¬ტუ¬რად მომესმინა რევაზ ნათაძის ლექციები და მონაწილეობა მიმეღო მის სემინარებში. რევაზ ნათაძე აუდიტორიას იპყრობდა მასალის ბრწყინვალე გადმოცემით, არაჩვეუ¬ლებრივი დახვეწილი აზრებით, მისაწვდომობით და თავისებური შინაგანი გზნე¬ბით, რომელიც სტუდენტებსაც გადმოგვეცემოდა ხოლმე.

ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას საქართველოში მდიდარი ტრადი¬ცი¬ები აქვს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავიხსენოთ კოლხეთის აკადემია, რომელიც მეოთხე საუკუნეში ქალაქ ფაზისში არსებობდა. აგრეთვე გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც ფილოსოფიური კვლევა-ძიების საკმაოდ ძლიერ ცენტრებს წარმოადგენდნენ შუა საუკუნეებში. შემთხვევითი არაა, რომ დავით აღმა¬შენებლის თაოსნობით აღმოცენებულ გელათის აკადემიას თანამედროვენი „სხვა ათინად“, „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“ მოიხსენიებენ.

უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითრებას სათავეში ჩაუდგა აკად. შალვა ნუცუბიძე. მართალია, მან თავისი ბუნებით მომადლებული ნიჭი, ფართო ერუდიცია და კვლევის მახვილი უნა¬რი შემოქმედების მრავალ სფეროში გამოავლინა, მაგრამ პირველობა მაინც ქართული ფილოსოფიური კულტურის განვითარებასა და მის მიერ ეროვნული ფილოსოფიის ისტორიის დაფუძნებას უნდა მიეკუთვნოს.

შემდეგ შალვა ნუცუბიძეს მხარში ამოუდგნენ პროფესორები ს. დანელია, მ. გოგი¬ბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, შ. ხიდაშელი; უფრო მოგვიანებით გ. თევზაძე, ნ. ჭავჭავაძე, ზ. კაკაბაძე, გ. ბანძელაძე, მ. ჭელიძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ აკადე¬მი¬კოსების - შალვა ნუცუბიძისა და შალვა ხიდაშელის ტრადიციების გამგრძელებ¬ლად ერთად განუმეორებელ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს. ყოველივე ამის გამო ბატონ შალვას ლექცია-მოხსენებები ერთნაირად იზიდავდა სტუ¬დენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებსაც. განსაკუთრებული მდგომარეობა იქმ¬ნე¬ბოდა მაშინ, როცა ბატონი შალვა, როგორც ოპონენტი, უნდა გამოსულიყო დისერ-ტაციის დაცვაზე. კარგად მახსოვს, მაგალითად, ვენორი ქვაჩახიას სადოქტორო დი¬სერ¬ტაციის დაცვა. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი. მე წინასწარ დავიჭირე თადარიგი და მოწმე გავხდი მაღალი დონის მეცნიერული პაექრობისა, მჭევრმეტყველების და მეცნიერების ჭეშმარიტი ზეიმისა.

ყოველთვის მახსოვს შალვა ნუცუბიძის მიერ უნივერსიტეტში ერთ-ერთ სამეცნიე¬რო სემინარზე წარმოთქმული სიტყვები: „ხელი მაგრად მოკიდეთ იმას, რაცა გვაქვს, თორემ სულ ხელებში გვიყურებენ, სულ იმას ცდილობენ როგორმე ხელიდან გაგვა¬გდებინონ ჩვენეული, წაგვართვან ჭეშმარიტად ქართული და თავისად გამოაც¬ხადონ“. ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი აზრია ჩადებული დიდი ქართველი მეცნიერისა და მამუ¬ლი¬შვილის ამ გამონათქვამში, რომელიც ყოველთვის და ყველა პირობებში აქტუალუ¬რია.

დღეს ითვლება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ მახარაძე. ამ მეცნიერთა მრავალრიცხოვანმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა კიდევ უფრო აამაღლეს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითრების დონე.

სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში (მომდევნო პერიოდშიც) ბევრი გა¬მო¬ჩე¬ნილი მეცნიერის ლექცია, საჯარო გამოსვლა თუ მოხსენება მომისმენია, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა ბატონ შალვას უაღრესად შთამბეჭდავ ლექციებს. იგი იყო მარ¬თლაც ბრწყინვალე ლექტორი. მისი ლექციები გამოირჩეოდა იშვიათი მჭევრ¬მეტყ¬ველებით, ექსპრესიულობით, მუსიკალურობამდე მისული წყობილსიტყვაობით და ზემოქმედების დიდი ძალით. მსჯელობის დროს შალვა ნუცუბიძე ხშირად იყე¬ნებ¬და გრძელ წინადადებებს, რთულ სიტყვიერ კონსტრუქციებს, მაგრამ ისინი ისე თა¬ვი¬სუფლად, ბუნებრივად, ლოგიკური თანამიმდევრობითა და ნუცუბიძისეული კეთილხმოვანებით წარმოითქმებოდნენ, რომ მათი მოსმენა დიდ ინტელექტუალურ საზრდოსთან ერთად ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს. ყოველივე ამის გამო ბატონ შალვას ლექცია-მოხსენებები ერთნაირად იზიდავდა სტუ¬დენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებსაც. განსაკუთრებული მდგომარეობა იქმ¬ნე¬ბოდა მაშინ, როცა ბატონი შალვა, როგორც ოპონენტი, უნდა გამოსულიყო დისერ-ტაციის დაცვაზე. კარგად მახსოვს, მაგალითად, ვენორი ქვაჩახიას სადოქტორო დი¬სერ¬ტაციის დაცვა. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი. მე წინასწარ დავიჭირე თადარიგი და მოწმე გავხდი მაღალი დონის მეცნიერული პაექრობისა, მჭევრმეტყველების და მეცნიერების ჭეშმარიტი ზეიმისა.

ყოველთვის მახსოვს შალვა ნუცუბიძის მიერ უნივერსიტეტში ერთ-ერთ სამეცნიე¬რო სემინარზე წარმოთქმული სიტყვები: „ხელი მაგრად მოკიდეთ იმას, რაცა გვაქვს, თორემ სულ ხელებში გვიყურებენ, სულ იმას ცდილობენ როგორმე ხელიდან გაგვა¬გდებინონ ჩვენეული, წაგვართვან ჭეშმარიტად ქართული და თავისად გამოაც¬ხადონ“. ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი აზრია ჩადებული დიდი ქართველი მეცნიერისა და მამუ¬ლი¬შვილის ამ გამონათქვამში, რომელიც ყოველთვის და ყველა პირობებში აქტუალუ¬რია.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წლებად ვთვლი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდს. არასოდეს დმავიწყდება ის დღე, როდესაც სააქტო დარბაზში საზეიმოდ გადმომცეს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავ¬რების დიპლომი. განსაკუთრებით სათუთად ვინახავ იმ სიგელებს, რომლებითაც დამაჯილდოვეს სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებისათვის და რომლებსაც ხელს აწერს სახელოვანი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსი¬ტეტის მაშინდელი რექტორი აკად. ილია ვეკუა.

სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში უნივერსიტეტის ძველი თაობის პირველი პლეადის წარმომადგენელთა სიცოცხლეშივე დიდების შარავანდედით მოსილი სა¬ხელები: აკადემიკოსები ივანე ბერიტაშვილი, შალვა ნუცუბიძე,

იუბილარი

აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი წერეთელი... ყველა მათგანმა უნივერსიტეტის ეზოშივე ჰპოვა მარადიული განსასვენებელი. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შესაძლებლობა მქონდა მათი ცოცხალი სიტყვა მომესმინა.

იუბილეს დღეებში არ შეიძლება უღრმესი მადლიერების გრძნობით არ გავიხსე¬ნოთ თბილისის უნივერსიტეტის იმ ლექტორ-მასწავლებელთა და კურსდამთავრე¬ბულ-ფსიქოლოგთა სახელები, რომლებიც ახლადგახსნილ ბათუმის სამასწავლებლო (1935 წლიდან), შემდეგ კი სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1945 წლიდან) მოღვაწეობდნენ. პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ აკად. ანგია ბოჭორიშვილი, დი¬მიტრი უზნაძის უპირველესი მოწაფე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 1955-1960 წლებში.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრას წლების განმავლობაში (1947 წლიდან) ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი და პედა-

გოგი პროფ. ვლადიმერ ნორაკიძე. მოგვიანებით, რო¬დესაც ბატონი ვლადიმერი დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუ¬ტის განყოფილებას განაგებდა, მე კი ამავე ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიას ვხელმძღვანელობდი, არაერთხელ მომისმენია მისგან, რომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მნიშვნელობა აჭარისათვის ისეთივე იყო, როგორიც თბილისის უნი¬ვერ¬სიტეტისა მთლიანად საქართველოსათვის. ცხადია, არსებული მდგომარეობის გათვალისწი¬ნებით მეც ვუდასტურებდი მხცოვან მეცნიერს (და ახლაც ვადასტურებ), რომ ეს მნიშვნელობა ჭეშმარიტად ასეთი იყო. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ აგრეთვე თბილისელი პროფესორები: ზ. ხოჯავა, დ. რამიშვილი, ა. ავალიშვილი, გ. ნიკოლა¬იშვილი; ლექტორ-მასწავლებლები: ვ. ცომაია. გ. ბაქრაძე, ფ. ხუნდაძე, ს. ჩხაიძე და სხვები. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ფსიქოლოგიური მეცნიერების სწავლების საქმეს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელ უნივერსიტეტში), აღზარდეს ადგილობრივი კადრები და შექმნეს სათანადო ტრადიციებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა თავისი შედეგიც გამოიღო. კერძოდ, 1990-1991 სას¬წავლო წლიდან შესაძლებელი გახდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგვე¬არსებინა ფსიქოლოგიის დამოუკიდებელი კათედრა (გამგე პროფ. ნ. ბარამიძე). შესამჩნევად გააქტიურდა და უფრო მიზანმიმართულად წარიმართა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. 2003 წლიდან გამოდის კათედრის (დეპარტამენტის) პერიო¬დული სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“, რომელშიც თანამ¬შრომლობენ უცხოელი ავტორებიც. კათედრის არსებობის 17 წლის მანძილზე მნიშვ¬ნელოვნად გაიზარდა მისი რაოდე¬ნობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა. ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის კათედრა დაჯილდოვდა დი¬მიტრი უზნაძის საიუბილეო მედლით. შემდეგ, კათედრის მემკვიდრე სოცია-ლურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პირობებში (ხელმძღვანელი პროფ. გ. ჩაგანავა) დამუ-შავდა ფსიქოლოგიის ბაკალავრიატისა და სამკურნალო ფსიქოლოგიის სამაგის¬ტრო პროგრამები, გაიხსნა ფსიქოლოგიის საუნი¬ვერსიტეტო კლინიკა, დაიწყო პრაქტი¬კული ხასიათის მუშაობა ფსიქიკური დარღ¬ვევის მქონე მოზარდების მომსახურების მიმართულებით და სხვა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი პირველი - სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მაღალზნეობრივი ტრადიციე¬ბის ერთგული ბათუმელი ფსიქოლოგები ენერგიის დაუზოგავად, პატიოსნად ემსა¬ხურებიან მომავალი თაობის აღზრდის, მათი ფსიქოლოგიური ცოდნით შეიარაღების კეთილშობილურ საქმეს. პარალელურად ისინი სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწევიან, რაც პერიოდულად აისახება ხოლმე შესაბამის პუბლიკაციებსა და მონოგრა¬ფიებში, სისტემატურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში და თავადაც ატარებენ ასეთ ღონისძიებებს.

საქართველოში დღეს მრავალი უნივერსიტეტია. მაგრამ ქართველი კაცის ცნობიე¬რებაში სიტყვა „უნივერსიტეტი“ პირველ რიგში მაინც თბილისის სახელმწიფო უნი¬ვერ¬სიტეტის ასოციაციას იწვევს და მის წარმოდგენას უკავშირდება. ქართველი¬სათ¬ვის ჩვენი დედა უნივერსიტეტი შეუცვლელი ეროვნული ფენომენია, რომელსაც მოფერებაც სჭირდება და გაფრთხილება-დაცვაც.

100 წელია ამაყად დგას ჩვენი ერვნული კადრების უპირველესი სამჭედლო - თბი¬ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მის ემბლემაზე გამოხატული შველი ძუძუს ანოვებს თავის ნუკრს. 100 წლის მანძლზე ამ კერამ მართლაც ნამდვილი დედობა გაუწია ათი ათასობით სწავლა-მოწყურებულ ახალგაზრდას. ასეა დღესაც. მწამს, რომ ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილების, ჩვენი ბრძენი ერისკაცების მიერ დაფუძ¬ნებული უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტობის დედა-შვილობა სამაგალითო იქნება მომავალშიც.

ნოდარ ბარამიძე,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

მოგონებანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე

მიმდინარე წელს შესრულდა 100 წლისთავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გადავწყვიტეთ ვესაუბროთ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ფილოსოფიის დოქტორ-ემერიტუსს, პროფესორ რომან ზოსიძეს.

— ბატონო რომან, გთხოვთ გვითხრათ, ვინ ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თქვენი სტუდენტობის დროს?

— ჩემი სტუდენტობის პირველ წლებში თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო ცნობილი მეცნიერი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა. შემდეგ წლებში იგი გადავიდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა ასევე ცნობილი მეცნიერი-მათემატიკოსი აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე. ჩემი სტუდენტობის წლებში ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო უაღრესად პოპულარული პიროვნება — ფსიქოლოგი პროფესორი რევაზ ნათაძე.

— ბატონო რომან, გთხოვთ გვიამბოთ იმის შესახებ — როგორ გახდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი?

— 1953 წელს ვერცხლის მედალზე დავამთავრე შუახევის რაიონის უჩამბის საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მაშინ ოქროსა და ვერცხლის მედალს ერთნაირი ძალა ჰქონდა და ორივე ატესტატს ერთნაირად ეწერა: ამ ატესტატის მფლობელს უფლება აქვს უგამოცდოდ შევიდეს სსრ კავშირის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. 1953 წლის 1 სექტემბერს გამოვცხადდი უნივერსიტეტში და სწავლა დავიწყე ფლოსოფიის სპეციალობის I კურსზე. როგორც ხედავთ, მე ვიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი 40-წლეულის ბოლო ათწლეულის სტუდენტი (1953-1958 წწ).

— რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე, მაღალმთიანი აჭარიდან ჩასულ ჭაბუკზე, მაშინდელმა თბილისმა და უნივერსიტეტმა? საინტერესოა, სად და როგორ ცხოვრობდით?

მაშინდელი ჩემი თვალით დანახული თბილისი იყო უაღრესად მოწესრიგებული დედაქალაქი, მისი ლამაზი ქუჩებითა და პროსპექტებით, ძველი და ახალი უბნებით. ყველგან უხვად იყო მწვანე საფარიც. იმხანად მსუბუქი ავტომანქანები ცოტა იყო. ამიტომ ქუჩები და პროსპექტები არადროს არ იყო გადატვირთული, საცობებზე ლაპარკი ხომ ზედმეტია. ძირითადი ტრანსპორტი ტრამვაი იყო. სადაც ტრამვაი არ მიდიოდა, იქ ავტობუსები დადიოდნენ.

რაც შეეხება შთაბეჭდილებებს უნივერსიტეტზე, მისი მშვენიერებით ერთი თვით ადრე, საბუთების შეტანისას მოვიხიბლე. პირველი, მეორე და მესამე მაღლივი კორპუსები ერთი მეორესთან ახლო მანძილებით იყო განლაგებული. დღესაც მენატრება პირველი კორპუსის აღმართი შესასვლელი. აქედან მეორე სართულზე ასვლას რომ დავიწყებდი, გარემო ყოველთვის ჩამაგონებდა: სად ვიყავი და როგორ უნდა მესწავლა.

ვცხოვრობდი სტუდქალაქის V კორპუსში, ბინის თვიური გადასახადი 2 მანეთი იყო. კორპუსის კომენდანტს რომ ვკითხე, რატომ არის ასე დაბალი გადასახადი — მეთქი, მიპასუხა: ასე ჰქვია, თორემ ბინის გადასახადი კი არა, გადამწვარი ელექტრონათურების აღსადგენი თანხაა. სტუდქალაქში 9 კორპუსი იყო და იქ მაშინ ასე იაფად ცხოვრობდნენ შორეული ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული უბნაო სტუდენტები. იმხანად თბილისში მხოლოდ 6 უმაღლესი სასწავლებელი იყო: დედა უნივერსიტეტი, ა. პუშკინის პედინსტიტუტი, უცხო ენათა პედინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

— დავუბრუნდეთ თქვენს საუნივერსიტეტო ცხოვრებას და სწავლას...

სტუდქალაქი უნივერსიტეტიდან არც ისე შორს იყო. ზოგჯერ, თუ არ გვაგვიანდებოდა, ფეხითაც მივდიოდით ხოლმე უნივერსიტეტში. ძირითადად ტრამვაით დავდიოდით: ვაკე-საბურთალოს მხრიდან წამოსული ტრამვაი სტუდქალაქის გასასვლელთან ჩერდებოდა, 5-6 წუთში კი უნივერსიტეტთან ჩადიოდა. ტრამვაით მოგზაურობა 5 კაპიკი ღირდა.

... და აი მოვიდა სწავლის დაწყების დღეც, 1953 წლის 1 სექტემბერი. ფილოსოფიის სპეციალობის პირველკურსელები სასწავლო ცხრილით გათვალისწინებულ პირველი კორპუსის მეორე სართულზე 115 აუდიტორიაში ვიყავით. გაიღო აუდიტორიის კარი და შემობრძანდა პირველი ლექტორი. ეს იყო პროფესორი კოტე ბაქრაძე. როგორც შემდეგ გავიგეთ, ყოველწლიურად სასწავლო წლის დასაწყისში ფილოსოფიის პირველკურსელებთან ცხრილით მისი პირველი ლექცია იყო გათვალისწინებული. ლექციის დაწყებამდე ბატონმა კოტემ მოგვცა რამდენიმე სასარგებლო რჩევა-დარიგება: როგორ გვეცხოვრა და გვესწავლა თბილისში, როგორ გამოგვეყენებინა თავისუფალი დრო სწავლისა და სპორტისათვის (როგორც გავიგეთ, მას სპორტი უყვარდა), როგორ გვესარგებლა უნივერსიტეტისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკებით საჭირო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე დამატებითი ლიტერატურის მოსაძებნად, როგორ გვეაქტიურა სამეცნიერო წრეების მუშაობაში; და ამის შემდეგ იწყებს ლექციის კითხვას ფილოსოფიის საგნის შესახებ. მისი ლექცია ერთობ მომხიბვლელი და მიმზიდველი იყო. არც თუ იშვიათად ჩვენს კურსთან მის ლექციებს სხვებიც ესწრებოდნენ (ესენი იყვნენ ადრინდელი მისი სტუდენტები, ახლა უკვე სამეცნიერო ხარისხები ჰქონდათ დაცული და მუშაობდნენ უნივერსიტეტში).

ბატონი კოტე ფილოსოფიასთან ერთად გვიკითხავდა ლექციებს ლოგიკაშიც, რომლის სახელმძღვანელოები მის მიერ იყო შექმნილი გასული საუკუნის 40-50-იან წლებში. ცალკე განხილვის საგანია მისი მაღალნაყოფიერი მუშაობა ახალი დროისა და XX საუკუნის დასავლეთის ფილოსოფიის კვლევაში. აქ იმის აღნიშვნაც მინდა, რომ უაღრესად საინტერესო და მაღალნაყოფიერია იმ ლექტორის მუშაობა, რომელიც მის მიერ წაკითხული სალექციო კურსების მიხედვით თვითონ ქმნის და აქვეყნებს სახელმძღვანელოებს. ასეთი იყო პროფესორი, შემდეგ აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ბატონი კოტე ბაქრაძე.

განსაკუთრებით დიდი ბედნიერება იყო ჩემი თაობის სტუდენტებისათვის პროფესორ სავლე წერეთლის მოღვაწეობა. იგი გვიკითხავდა ლექციებს ფილოსოფიის ისტორიაში ანტიკური პერიოდიდან XX საუკუნემდე. ლექციების თანმიმდევრობა ასე ჰქონდა დალაგებული: ანტიკური ფილოსოფია, შუა საუკუნეების ფილოსოფია, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია და ახალი დროის ევროპული ფილოსოფია. მასთან პირველივე შეხვედრაზე დავრწმუნდით, რომ თუ გინდა დადგე ფილოსოფოსად, გულდასმით უნდა შეისწავლო ფილოსოფიის ისტორიის ყველა ეტაპი, თანაც საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ბატონ პროფესორ სავლე წერეთლის ლექციების მოსმენით. ბატონი სავლე აუდიტორიაში შემოდიოდა ზარის დარეკვიდან 1-2 წუთში. კათედრასთან იდგა აუჩქარებელი, დინჯი, ფილოსოფიური სიბრძნით უხვად დაჯილდოებული სიმპათიური მამაკაცი; მის ლექციებს სიტყვა-სიტყვით ვიწერდით. მაშინ ფილოსოფიის ისტორიის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ცოტა იყო. მართალია, ბოლო ათწლეულებში ფილოსოფიის განვითარების ცალკეული პერიოდების მიხედვით გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები, თუმცა საკითხების განხილვის სიღრმითა და მრავალმხრივობით ისინი ჩამორჩებიან ბატონი სავლე წერეთელის ლექციებს გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში. ამიტომაც ბატონ სავლეს ლექციების ჩანაწერები ფილოსოფიის განვითარების ცალკეული პერიოდების მიხედვით, დღემდე სათუთად მაქვს შენახული; ძირითადად მას ვიყენებდი ჩემს მუშაობაში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტებს ლექციებს რომ ვუკითხავდი ფილოსოფიის ისტორიაში.

ჩემი სტუდენტობის წლებში მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო აგრეთვე პროფესორ შალვა ბიწაძის მოღვაწეობაც. ბატონი შალვა ეთიკას და ისტორიულ მატერიალიზმს გვასწავლიდა. უნივერსიტეტში მოსვლამდე მას მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა დაგროვებული, რასაც წარმატებით იყენებდა ეთიკაში ლექციების წაკითხვის პროცესში. მისი რჩევა-დარიგებანი მშობლების რჩევა-დარიგებებს ჰგავდა და ერთობ სასარგებლო იყო ჩვენთვის.

სტაჟიან პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად უნივერსიტეტის კათედრებზე მაშინ მუშაობდნენ ახალგაზრდა კადრებიც. ესენი იყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს უნივერსიტეტი და ასპირანტურაში გააგრძელეს სწავლა, რათა მომზადებულიყვნენ დისერტაციების დასაცავად. მათგან ზოგიერთი დროულად ახერხებდა დისერტაციის დაცვას, ზოგიერთს კი დრო და სტაჟირება სჭირდებოდა. ამ პერიოდში ისინი ასისტენტებად მუშაობდნენ კათედრებზე, პროფესორ-მასწავლებლებს ეხმარებოდნენ სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებაში. ისინი გამოირჩეოდნენ ცოდნის მაღალი დონით, მაღალი ადამიანური თვისებებით და სტუდენტებისათვის მისაბაძნი იყვნენ. ჩემი სტუდენტობის დროს ფილოსოფიის ფაკულტეტზე ასეთები იყვნენ ბატონი ზურაბ კაკაბაძე — პროფესორ კოტე ბაქრაძის ასისტენტი; ფიზიკურად და სულიერად ლამაზი ახალგაზრდა ქალბატონი მერი ჭელიძე — მუშაობდა ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე და სემინარებს გვიტარებდა ანტიკურ ფილოსოფიაში. ფილოსოფიის კათედრის ასისტენტები იყვნენ აგრეთვე ბატონები ბიძინა ლუტიძე და ვახტანგ კალანდარიშვილი. მათგან ყველამ შედარებით მოკლე დროში დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, არჩეულ იქნენ პროფესორებად და ათეულობით წლების მანძილზე ეწეოდნენ მაღალნაყოფიერ პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას.

ასეთი ცოდნის ბარაქას იძლეოდა ჩემი სტუდენტობის დროს XX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს ერთადერთი დედაუნივერსიტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი.

— თქვენი სტუდენტური ხუთწლედი.

— სწავლის ჟინი და შემართება სკოლიდან გამყვა. ეს ჩემი მშობლებისა და მასწავლებლების დამსახურება იყო. I კურსის I სემესტრის ყველა გამოცდა „ფრიადებზე“ ჩავაბარე და ამაყად დავბრუნდი სახლში, ზამთრის არდადეგებზე. სწავლისათვის არც შემდეგ მიღალატნია, ორად ორი „კარგი“ შეფასება ჩანს ჩემი დიპლომის დანართში, დანარჩენი სულ „ფრიადებია“. ყველაზე უფრო ჩემი დიდი მასწავლებლების, ბატონების კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის „ფრიადები“ მეამაყება. ახლაც სათუთად ვინახავ თბილისის უნივერსიტეტდამთავრებულის სამკერდე ნიშანს, რომელიც მაშინ პატივისა და ღირსების აღმნიშვნელი სიმბოლო იყო.

ბოლოს, კიდევ უნდა ვთქვა ერთი სათქმელიც: ჩემი კურსელები და სხვებიც, ვინც 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიმდინარე წელს ორ საიუბილეო თარიღს აღნიშნავენ. დედა უნივერსიტეტის 100 წლისთავს და უნივერსიტეტის დამთავრების 60 წლისთავს.

საუბრები ფილოსოფიაზე

ფილოსოფიის ადგილი თანამედროვეობაში

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ ესაუბრება ფილოსოფიის დეპარტამენტის პროფესორი, ქალბატონი ლალი ზაქარაძე.

— რა არის ფილოსოფია და რა ადგილი უკავია მას მეცნიერების თანამედროვე სტრუქტურაში?

— ფილოსოფია არის მეცნიერების ის დარგი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სამყაროში. ის ცდილობს გამოკვეთოს კითხვათა ის წყება, რომელიც მთავარ კითხვას - რა არის ადამიანი? - უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ისმის საკითხი სამყაროს არსის, მისი წარმოშობის, შინაგანი კანონზომიერებისა და ამ სამყაროში ადამიანის როლისა და დანიშნულების შესახებ. ამ პრობლემებს განსხვავებული პერსპექტივებიდან გამომდინარე შეისწავლის მეცნიერების სხვადასხვა დარგი, კერძო მეცნიერებების სახელით რომ არის ცნობილი. თუკი ეს ასეა, მაშინ რა უნდა შეისწავლოს ფილოსოფიამ? რა არის მისი საგანი? ფილოსოფია კერძო მეცნიერებებისაგან განსხვავებით შეისწავლის სამყაროს მის მთლიანობაში, ადამიანის არსებას ზოგადად და არა მის ერთ რომელიმე მხარეს. აქ შეიძლება გავიხსენოთ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, მეცნიერების პირველი სისტემატიკოსის, არისტოტელეს მოსაზრება ამ საკითხის შესახებ. მისი აზრით, მრავალი მეცნიერება სწავლობს სამყაროს, მაგრამ არცერთი მათგანი არ გვეუბნება იმას სამყაროს შესახებ, რასაც ფილოსოფია; მრავალი მეცნიერება სწავლობს ადამიანს, მაგრამ არცერთი მეცნიერება არ გვეუბნება იმას ადამიანის შესახებ, რასაც ფილოსოფია. სწორედ აქედან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს ფილოსოფიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში: ფილოსოფია ამა თუ იმ შესასწავლი საგნის არსებას, მის მთლიანობით ხასიათს, ერთი სიტყვით, საგანს, როგორც საგანს შეისწავლის, მაშინ როცა კერძო მეცნიერებები საგნის მთლიანობას ვერ წვდებიან, პირიქით, ისინი საგანს ანაწევრებენ და მის ერთ კონკრეტულ ასპექტს სწავლობენ. ამიტომაც არის საჭირო ფილოსოფიური შემეცნება, რათა მისი მეშვეობით მოხდეს კერძო მეცნიერებათა მიერ დაგროვილი ცოდნის სისტემატიზება, განზოგადება და მისთვის ჭეშმარიტად მეცნიერული სტატუსის მინიჭება.

თანამედროვე ფილოსოფიას რთული მისია აკისრია; მან უაღრესად რთული, კომპლექსური და სწრაფად ცვალებადი სამყაროს ადეკვატური სურათი უნდა ასახოს. ამასთან, კერძო მეცნიერებები მათი მიღწევების მიუხედავად, ვერ გვაწვდიან პასუხს ცხოვრებისეულ, მსოფლმხედველობრივ, საზრისისეულ მარადიულ კითხვებზე. ამდენად, უმნიშვნელოვანესი ხდება ახალი მსოფლმხედველობრივი სისტემების ძიება, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გადარჩენის სტრატეგიათა ძიებას. ასე რომ, ფილოსოფია ამ ამოცანების წარმატებით დაძლევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი იმ როლსა და ფუნქციას დაიბრუნებს, რასაც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა; ჩვენც ვეთანხმებით მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ფილოსოფია კვლავაც უნდა გახდეს მაინტეგრირებელი, მაორიენტირებელი და კერძო მეცნიერებათა დამაკავშირებელი მეცნიერება. ფილოსოფიას ამგვარი პრეტენზია იმიტომაც შეიძლება ჰქონდეს, რომ მხოლოდ მას შეუძლია მეცნიერებათა საერთო, ზოგადი თეორიის შექმნა. ის, ამდენად, მეცნიერებათა მეთოდოლოგიად შეიძლება გავიგოთ“.

— რა ადგილი უკავია ფილოსოფიას საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში?

— უნივერსიტეტების არსებობის ისტორიამ ნათლად აჩვენა, რომ ადამიანის განვითარების ყველა ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსალური ცოდნისკენ სწრაფვას, რაც გამოიხატება სხვადასხვა დისციპლინათა შორის თანამშრომლობის შედეგად მიღებული ცოდნის სტატუსში. თანამედროვე სამეცნიერო სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ინტერდისციპლინარული ცოდნის მოთხოვნა. ფილოსოფია, თავისი არსისა და დანიშნულების მიხედვით, ამ ტიპის ცოდნის უზრუნველმყოფია. უფრო მეტიც, ფილოსოფია გვთავაზობს ყველა მეცნიერებათა შესავალ მეთოდოლოგიას, ის არის ერთგვარი პროპედევტიკა მეცნიერებისა. სწორედ ამის გამოა, რომ თითქმის ყველა ცალკეულ დარგს და დისციპლინას საკუთარი ფილოსოფია აქვს, მაგალითად, სამართლის ფილოსოფია, პოლიტიკის ფილოსოფია, ისტორიის ფილოსოფია, ენის ფილოსოფია და

ა.შ. აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიის სწავლების გარეშე საუნივერსიტეტო ცოდნა ნაკლოვანია, რადგან ის ვიწროდისციპლინურია და მოკლებულია სისტემურ და უნივერსალურ ხასიათს. ფილოსოფია კი ცდილობს, ადამიანები დააფიქროს იმგვარი კითხვების შესახებ, რომლებიც სცდება ვიწროდისციპლინურ სფეროს და ინტერდისციპლინური ცოდნის მეთოდოლოგიური საფუძველია. დღესდღეობით ცოდნა ნიშნავს ინტერდისციპლინურ ცოდნას. ინტერდისციპლინარიზმი მეცნიერების თანამედროვე სისტემაში იმდენად თვალსაჩინოა, რომ ეს პროცესი თვით ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებსა და მიმართულებებსაც კი აახლოებს ერთმანეთთან (მაგალითად, ფილოსოფიური ურბანისტიკა, არქიტექტურის ფილოსოფია, ნეიროფილოსოფია, ნეიროთეოლოგია და სხვ.). რადგან ინტერდისციპლინურობა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, ფილოსოფიაც მკვიდრად იკავებს საკუთარ ადგილს საუნივერსიტეტო ცოდნის სისტემაში. ფილოსოფია წვრთნის აზროვნების უნარ-ჩვევებს, ის სტრუქტურული წერისა და საუბრის, არგუმენტირების ხელოვნებას ასწავლის ადამიანებს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია წარმატებული პროფესიული კარიერის მიღწევის გზაზე. სწორედ ამის გამოა, რომ ინგლისურენოვან ქვეყნებში, თითქმის ყველა დისციპლინაში, სამეცნიერო ხარისხის აღსანიშნავად „ფილოსოფიის დოქტორი“ (ჰ) გამოიყენება. ეს სამეცნიერო ხარისხი იმის აუცილებელი და საკმარისი წინაპირობაა, რომ მკვლევარმა დამოუკიდებელი და წარმატებული სამეცნიერო კარიერა დაიწყოს საუნივერსიტეტო სივრცეში.

— რას გვეტყვით ფილოსოფიის სოციალურ მისიაზე, მის საზოგადოებრივ ფუნქციაზე?

— უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობის არენა. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი სოციალური ფუნქცია. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებას მუდმივად სჭირდება მიმართულება, ხოლო საზოგადოებრივი აზრი წარმართავს სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ცხოვრება საჭიროებს უნივერსიტეტის ჩართულობას. აქ უნდა ხდებოდეს საზოგადოების საჭირბოროტო საკითხების განხილვა, მათი ანალიზი და შეფასება. ცნობილია, რომ ფილოსოფია იმთავითვე ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრის კრიტიკად: ის არის კრიტიკული ხმა და რეფლექსია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მან უნდა შეძლოს ამა თუ იმ საზოგადოებაში გავრცელებული ცრურწმენებისა და არასწორი ორიენტაციების დასაბუთებული უკუგდება. საკაცობრიო ისტორიიის მძიმე გამოცდილებების გათვალისწინების შედეგად მან თავიდან უნდა აგვარიდოს მცდარი იდეოლოგიების ზეგავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე, უნდა შეცვალოს ადამიანი და სამყარო უკეთესობისაკენ და გააკეთილშობილოს ის.

— თქვენ ზემოთ საგანგებო ყურადღება გაამახვილეთ ფილოსოფიის კრიტიკულ ფუნქციაზე. როგორ ფიქრობთ, რატომ შეინიშნება დღეს ჩვენში კრიტიკული აზრის დეფიციტი?

— ნებისმიერი ადამიანისთვის კრიტიკული აზროვნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ის, ვინც გაურბის კრიტიკას, იმთავითვე უარს ამბობს ცოდნისა და ჭეშმარიტების იდეალებზე. ფილოსოფია ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც თვითკრიტიკის მაღალ ხარისხსაც გულისხმობს. ადამიანის მიერ საკუთარი თავის შექმნის ურთულესი ამოცანა - თავისუფლად მოაზროვნე და ზნეობრივი პიროვნების შექმნა, რაც ჭეშმარიტი ფილოსოფიის ამოცანა და უმთავრესი მიზანია, წინაპირობად თვითკრიტიკას გულისხმობს. მეცნიერული ცოდნისთვის დამახასიათებელი სერიოზულობაც სწორედ მის კრიტიკულ ფუნქციაში პოვებს დასაბამს.

საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის მავნე პრაქტიკის შედეგად კრიტიკა, განსხვავებული აზრი მტრისა და არაკეთილმოსურნის ასოციაციას იწვევდა. ეს სავალალო მემკვიდრეობა დღემდე ვერ გადაილახა, მათ შორის, საუნივერსიტეტო სივრცეშიც. სწორედ ამ ნაკლის აღმოფხვრას ემსახურება ჭეშმარიტი ფილოსოფიური განათლება. ის ადამიანს ასწავლის განსხვავებული სააზროვნო ტრადიციების პატივისცემას, მათ აღიარებას და დაფასებას. საუნივერსიტეტო სივრცეში ყოველივე ეს განსხვავებული ფილოსოფიური კონცეფციების, მიმდინარეობების და ტრადიციების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიური ცოდნის შეძენა თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების საფუძველთა საფუძველია და მის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს კიდევაც.

— თანამედროვე ფილოსოფიაში არსებული რომელი მიმართულებისა და დარგების სწავლა-სწავლება გესახებათ პრიორიტეტულად ბსუ-ში? იქნებ, აქვე, მოკლედ შეეხოთ თქვენი კვლევა-ძიების ძირითად პრიორიტეტებსაც.

— კარგი კითხვაა! დღესდღეობით ნაკლებად ისმის კითხვა: „რატომ და რისთვის არის საჭირო ფილოსოფია?“ მსგავსი კითხვები დასავლურ საუნივერსიტეტო სივრცეში წარსულს ჩაბარდა. ახლა კითხვა უფრო მეტად იმის შესახებ ისმის, თუ რომელი ფილოსოფია სჯობს? ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ფილოსოფიის შესავალი (პროპედევტიკა) ფილოსოფიურ მეცნიერებებთან მიახლოების ერთადერთი და აუცილებელი გზაა, რადგან ჩვენში ფილოსოფია არ ისწავლება ზოგადსაგანათმანათლებლო დონეზე.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საუნივერსიტეტო განათლება ეფუძნება კვლევისა და სწავლების ერთიანობის პრინციპს. აქედან გამომდინარე, ჩვენს უნივერსიტეტში ფილოსოფიის სწავლა-სწავლების პროცესში, ფუნდამენტურ დარგებთან ერთად, იმ დარგებს და მიმართულებებს უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება, რომლის კვლევის გარკვეული ტრადიციაც არსებობს. ამ მხრივ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს კარგი გამოცდილება აქვს. ჩვენთან, უპირველეს ყოვლისა, იკვლევდნენ და დღესაც იკვლევენ ქართული ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებს. თანამედროვე ქართული ფილოსოფიის საუკეთესო მიღწევების სწავლება პრიორიტეტად მიმაჩნია ფილოსოფიის სპეციალობაზე. აქ უნდა გამოიკვეთოს ქართული ფილოსოფიური ტრადიციის სიღრმე, ორიგინალობა და მისი სამომავლო პერსპექტივები. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ქართული ფილოსოფიის საუკეთესო ტრადიციების პოპულარიზებას და ღიაობას სხვა ინტელექტუალური სამყაროსთვის. გარდა ამისა, ჩვენთან მუშავდება სიცოცხლის ფილოსოფიის საკვანძო საკითხები, კულტურის ფილოსოფიის, კულტურის სოციოლოგიის, პოლიტიკის ფილოსოფიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, შემეცნების თეორიის აქტუალური პრობლემები.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დარგის ფილოსოფიების (სამართლის, ისტორიის, ენის, პოლიტიკური, ბიზნესის, განათლების ფილოსოფიის და სხვ.) და ფილოსოფიის უახლესი დარგების სწავლება. ბოლო პერიოდში დაინერგა კიდევაც ახალი ინტერდისციპლინური სალექციო კურსები (მაგალითად, ფილოსოფიური გეოგრაფია, ბიზნესის ეთიკა, სამედიცინო ეთიკა, ეკოეთიკა და სხვ.). საინტერესო კვლევები განხორციელდა კრიტიკული თეორიის (ე.წ. „ფრანკფურტის სკოლის“) და ფილოსოფიური ურბანისტიკის მიმართულებით და დაინერგა კიდეც ეს კურსები სასწავლო პროცესში. ახალი მიმართულებების შემოტანა სასწავლო-კვლევით პერსპექტივაში მუდმივი ფიქრის საგანი უნდა იყოს! უახლოეს პერიოდში იგეგმება ცვლილებები ამ მიმართულებით. ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამაში ვგეგმავთ ნეიროფილოსოფიის სასწავლო კურსის შემოტანას. ვფიქრობთ, რომ ეს სასწავლო კურსები მიმზიდველი გახდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც, გაამრავალფეროვნებს და გაამდიდრებს უნივერსიტეტის კედლებში მიღებულ ვიწროდისციპლინარულ ცოდნას და, ამასთან ერთად, თვალსაჩინოს გახდის თანამედროვე მეცნიერების ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც ჩვენი სამყაროს რთული კონფიგურაციის შესატყვისი უნდა იყოს.

ლია ბოლქვაძე,
მარიკა გამახარია

ახალი ჟურნალი

ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მიერ 2016 წლის ბოლოს დაფუძნებული იქნა საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი,“ რომლის მთავარი რედაქტორი თვით მისი დამფუძნებელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი გახლავთ.

ჟურნალი „იურისტი“-ს დაარსება ძალზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი ფაქტია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, რომელმაც ქართული იურიდიული და სამეცნიერო სინამდვილისათვის განსაკუთრებული ფუნქცია უნდა იტვირთოს. ზოგადად ქართულმა იურიდიულმა კანონმდებლობამ და საკანონმდებლო კულტურამ დიდი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ჩვენს საზოგადოებაზე, სტუდენტ-ახალგაზრდობას მისცეს საშუალება სწორად განსაზღვროს საზოგადოებაში თვითდამკვიდრების აუცილებლობა. ამაში კი განსაკუთრებული როლი სწორედ ახლადდაარსებულმა ჟურნალმა უნდა შეიტანოს.

ჟურნალ „იურისტის“ გამოცემით საქართველოს იურიდიულ და ზოგადად მთელ საზოგადოებას საშუალება ექნება სამეცნიერო თუ პრაქტიკული გამოყენების მიზნით გაეცნოს ქართველი თუ უცხოელი ავტორების მიერ სამართლის სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებულ ახალ მნიშვნელოვან, საინტერესო ნაშრომებს, სტატიებს, ზოგადად კი საქართველოში სამართალწარმოების ძირითად ტენდენციებს.

ვფიქრობ, ჟურნალი რომელიც განკუთვნილია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერ-იურისტების, პრაქტიკოსი მუშაკებისა და დაინტერესებული მკითხველისათვის, ხელს შეუწყობს როგორც ქართული კანონმდებლობის, ასევე სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, სტუდენტი-ახალგაზრდობის აქტიურ ჩაბმას სამეცნიერო საქმიანობაში, სამართლებრივი საკითხების პოპულარიზაციას, სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას.

ჟურნალ „იურისტის” სამეცნიერო დონეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიან ქართული იურიდიული სკოლის ღირსეული წარმომადგენლები, ცნობილი და აღიარებული მეცნიერები, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრები, აკადემიკოსები ლევან ალექსიძე, ჯონი ხეცურიანი, არჩილ ფრანგიშვილი,

პროფესორები ლადო ჭანტურია, ჯემალ გახოკიძე, რომან შენგელია, ზაზა რუხაძე, ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, გივი ლობჟანიძე, ლალი ფაფიაშვილი და სხვები, ასევე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები რუსეთის ფედერაციიდან და გერმანიიდან.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას და მის ერთგულ მკითხველს ვულოცავ

ჟურნალის დაფუძნებას, ვუსურვებ ნაყოფიერ საქმიანობას და წარმატებებს.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი

საინტერესო წიგნი, რომელიც მეცნიერ-იურისტის, ჭეშმარიტად გამორჩეული პიროვნების პროფესორ შოთა ფაფიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საოცარ სამყაროს გვაზიარებს

ჭეშმარიტად ბედნიერია ის კაცი, ვინც ქვეყნის წინაშე კეთილსინდისიერად იხდის ვალს და მისი გავლილი გზაც მისივე ცხოვრებაში კეთილ კვალს ტოვებს. ასეთი ადამიანები თავიანთი ცხოვრების წესით მაგალითს აძლევენ სხვებს.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის კაცი, რომელმაც ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო, ჩვენი წიგნის მთავარი პერსონაჟი, იურისპრუდენციის ჩინებული მოღვაწე ბატონი შოთა ფაფიაშვილი.

სწორედ ღირსეული მეცნიერის დაბადების 80 და მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავს ეძღვნება წიგნი, რომელსაც ავტორ შემდგენელმა „გზა მართლისა სამართლისა“ დაარქვა.

დღეს სწორედ მის შესახებ გვინდა მოგითხროთ, რომელიც მეცნიერის საოცარ სამყაროს გვაზიარებს და რომელშიც მკითხველი ბევრ საინტერესო მასალებს გაეცნობა.

იმის მიუხედავად, რომ ბატონ შოთას ქართული იურიდიული საზოგადოება ისედაც კარგად იცნობს, აღნიშნული წიგნის გაცნობით კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ ამ მართლაც ღირსეულ და კეთილშობილ პიროვნებაზე, შესანიშნავ მოქალაქეზე, მეტად განსწავლულ მეცნიერზე, საზოგადოებისათვის მაგალითის მიმცემ ადამიანზე და უღალატო მეგობარზე, დიდ მეოჯახეზე, ღირსეულ მამაზე და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალებით მის მიმართ. ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

წიგნის შემდგენელმა დასაწყისშივე შოთა ფაფიაშვილის მონოლოგი შემოგვთავაზა, სადაც ის მის ბავშვობის, ყრმობის, წინაპრების, მშობლების, სტუდენტობის წლების, სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის და კვლევა-ძიების ურთულეს სამყაროში გატარებული წლების შესახებ გვესაუბრება.

მართლაც საინტერესო ცხოვრების გზა განვლო შოთა ფაფიაშვილმა. დაიბადა 1936 წელს, მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა 37-ე სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო სისხლის სამართლის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის დაამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიიწვიეს ამავე უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრაზე. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და არჩეული იქნა სისხლის სამართლის კათედრის დოცენტად. 1970 წელს დაინიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1976 წლამდე.

1985 წლიდან ბატონი შოთა იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი. 1987 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წელს აირჩიეს საპროკურორო ზედამხედველობისა და მართმსაჯულების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

შემდეგ ბატონი შოთა მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უფროსის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

2000-2005 წლებშიკონკურსის წესით ეკავა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგის თანამდებობა.

მრავალი წლის განმავლობაში იყო იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, არაერთი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ექსპერტი და ოპონენტი არა მარტო უნივერსიტეტში და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ პოსტსაბჭოური ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პარალელურად იყო საქართველოს სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დისციპლინების კათედრის გამგე.

2005 წლიდან ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო ილია ჭავჭავაძის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. დიდი მადლიერების გრძნობით და კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ უფრო ადრე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბატონი შოთა პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა აგრეთვე ჩვენს უნივერსიტეტში.

ამჟამად ბატონი შოთა არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და პარალელურად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული აქვს 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ნახევარზე მეტი გამოცემულია მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების სახით. როგორც მეცნიერსა და მკვლევარს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში.

მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მაძიებელმა, ასპირანტმა და დოქტორანტმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

2000 წელს ის არჩეული იქნა საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 2002 წელს კი აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს შოთა ფაფიაშვილი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრის უფროსი და სხვა.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ბატონი შოთა 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ასევე დაჯილდოებულია სხვა სამთავრობო ჯილდოებით, კერძოდ ჯავახიშვილის სახელობის მედლით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი აკადემიის საიუბილეო მედლით და სხვა. მინიჭებული აქვს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის (იუსტიციის გენერლის) უმაღლესი სპეციალური წოდება.

შოთა ფაფიაშვილმა თავისი ძალები მოსინჯა დიდ სპორტში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიღწია. უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი სპორტშიც მოწინავე იყო. ხუთჯერ გაიმარჯვა უნივერსიტეტის სპარტაკიადაში ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, გახდა „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი, სტუდენტთა საკავშირო პირველობის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში.

შესანიშნავი ქართული ოჯახი აქვს ბატონ შოთას. მეუღლე, ორი ქალიშვილი და შვილიშვილები – ეს მისი სიმდიდრე და სიამაყეა. ქალიშვილი ლალი ფაფიაშვილი სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, მეორე შვილი - ნინო ასევე მეცნიერებათა კანდიდატია და საქართველოს მთავარ პროკურატურაში ერთ-ერთი დაპარტამენტის პროკურორად მუშაობს.

მის მიერ გამოცემული ნაშრომების საჯაროდ განხილვას და მათზე დაწერილ და გამოქვეყნებულ რეცენზიებს ეხება წიგნის მომდევნო თავი, სადაც ბატონ შოთას ნაშრომებს მოიხსენიებენ, როგორც ყველა იურისტისათვის სამაგიდო წიგნს და ქართულ იურისპრუდენციაში მნიშვნელოვან შენაძენს.

წიგნს გარკვეულ დადებით ეფექტს სძენს შოთა ფაფიაშვილის ცხოვრების ამსახველი ფერადი ფოტოები, მაღალია წიგნის პოლიგრაფიული გაფორმების დონე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსახილველ წიგნში მეტად საინტერესოდ არის წარმოდგენილი მეცნიერებისა და პრაქტიკის ანალიზი, მეცნიერული კვლევა-ძიების განახლებული ეტაპი, რასაც წიგნში ცალკე თავები აქვს დათმობილი.

ამიტომ, არ შეიძლება ცალკე არ ვისაუბროთ შოთა ფაფიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, როგორც ქართული იურისპრუდენციის ჩინებულ მოღვაწესა და დიდ მეცნიერზე, რომელმაც მრავალი საინტერესო მონოგრაფია და სახელმძღვანელო გამოსცა.

რა თქმა უნდა, მათი სრული განხილვა და წარმოჩენა ამჟამად შეუძლებელია, მაგრამ არ შეიძლება არ გამოვყოთ უკანასკნელ წლებში გამოცემული კრიმინალისტიკის სამტომეული, რომელიც ეხება დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგიას და ტექნიკას, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკას და მეთოდიკას, ასევე კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო (ზოგადი და კერძო ნაწილები).

განსაკუთრებული საყოველთაო აღიარება მოიპოვა 2013 წელს მის მიერ გამოცემულმა კრიმინალისტიკის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოებმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორივე სახელმძღვანელო არა მარტო სტუდენტებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კუთვნილებაა, არამედ ყველა იურისტისათვის საჭირო სამაგიდო წიგნია.

წარმოდგენილი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ორტომეული ფუნდამენტური გამოკვლევაა ჩვენს სინამდვილეში, რომელიც გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო დონით და ვთვლით, რომ მისი გამოცემა მართლაც საშური საქმე იყო, რაც ბრწყინვალედ გააკეთა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და ადრე მის მიერ გამოქვეყნებულ კრიმინალისტიკის სამტომეულთან ერთად, რასაც დიდი და წარმატებული გამოხმაურება მოყვა სწავლული იურისტებისა და პრაქტიკოსი მუშაკების მხრიდან, კიდევ ერთი უნიკალური ნაშრომი შემატა არა მარტო ქართულ, არამედ ზოგადად იურიდიულ მეცნიერებას.

სწორედ ზემოაღნიშნულ წიგნებზე გამოქვეყნდა ჩემს მიერ 2015 წელს საკმაოდ ვრცელი და დადებითი რეცენზია გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტში.“

პროფესორი შოთა ფაფიაშვილი, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წელია უმწიკვლოდ და უანგაროდ ემსახურება მომავალი იურისტების სწავლა- განათლების საქმეს, თავისი გამორჩეული კეთილშობილებით, წესიერებით, დიდი ადამიანური თვისებებით როგორც ჩემი, ასევე ყველა თაობის სტუდენტების საყვარელი და მისაბაძი პიროვნებაა, სანიმუშო ლექტორია. მისი მეცნიერული მოღვაწეობა ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მე ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს, რომ როგორც საქმიანი, ისე ადამიანური ურთიერთობა მიწევს ისეთ შესანიშნავ ადამიანთან, განსწავლულ მეცნიერთან და მაღალი დონის პროფესიონალთან, უღალატო და ერთგულ მეგობართან, დიდ პიროვნებასთან, ღირსეულ ქართველთან, როგორიც შოთა ფაფიაშვილი გახლავთ.

ბატონი შოთა დღესაც ენერგიულად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. ის შესანიშნავი კოლეგა და აღმზრდელია, ყოველთვის სასიამოვნოა მის გვერდით მუშაობა და სამეცნიერო საქმიანობა. ამ ყველაფრისათვის მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შოთა ფაფიაშვილს და ვუსურვო მხნეობა, ჯანმრთელობა და წარმატებები შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

ბოლოს, მადლობა მინდა მოვახსენო წიგნის იდეის ავტორს და მის შემდგენელს ჯემალ გაბელიას, წიგნის რედაქტორებს ბატონებს ჯემალ გახოკიძეს, ირაკლი გაბისონიას, ივანე ჯაგოდნიშვილს და დავით სოლომონიშვილს გაწეული შრომისათვის და მკითხველისათვის მეტად საინტერესო წიგნის მიწოდებისათვის.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფრანკოფონია – 2018

ფრანკოფონია - 2018 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა. 18 მარტს კვირეული კონკურსით - „ონჯოურ ლა რანცე'' დაიწყო, რომელშიც მონაწილეობა რეგიონის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. 20 მარტს კონფერენცია „საფრანგეთის ახალი გამოწვევები“ ჩატარდა, ხოლო 26 მარტს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ამერიკის კუთხეში კულტურულ-შემეცნებითი ქვიზი „საფრანგეთის ცივილიზაცია“ გაიმართა. ფრანკოფონიის კვირეული ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა – ტენდენციები, გამოწვევები, პერსპექტივები“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფესორმა პაატა კოღუაშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია ლექცია წაიკითხა თემაზე: „საქართველოს სოფლის მეურნეობა - ტენდენციები, გამოწვევები, პერსპექტივები“. მომხსენებელმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს არსებული სიახლეები და განვითარების შესაძლებლობები გააცნო. ღონისძიება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული სტუდენტური კვლევების და პროექტების ცენტრის „ახალი ხედვის“ ორგანიზებით გაიმართა.

კლიმატის ცვლილება და მისი შედეგები

დღეს მთელი მსოფლიო შეშფოთებულია გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილებით. გლობალური დათბობა ნიშნავს დედამიწაზე ჰაერის მიწისპირა საშუალო ტემპერატურის თანდათანობით ზრდას. ეს პროცესი წინაინდუსტრიული პერიოდიდან (დაახლოებით 1750 წლიდან) დაიწყო, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი უფრო გაძლიერდა.

კლიმატის გლობალურ ცვლილებას თან სდევს დრამატული ხასიათის უამრავი გამოვლინება. ასე მაგალითად, ინტენსიურად დნება არქტიკისა და გრენლანდიის ყინულოვანი საფარი. არქტიკის საშუალო ტემპერატურები სწრაფად იზრდება. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, საუკუნის ბოლოსათვის არქტიკა ზაფხულობით შეიძლება ყინულით აღარ იყოს დაფარული. არქტიკისა და გრენლანდიის ყინულის დნობის შედეგად ოკეანეში ჩაედინება ცივი წყალი, რომელიც ასუსტებს "გოლფსტრიმს" - თბილ დინებას, რომელსაც ეკვატორიდან სითბო გადააქვს ჩრდილო განედებისაკენ.

"გოლფს-ტრიმის" გაქრობას მოყვება კლიმატის რადიკალური ცვლილება.

ყინულის საფარის დნობამ სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია ზღვის დონის აწევა, რაც დაბლობ ზღვისპირა ადგილებს სანაპიროს ეროზიით, დატბორვითა და მტკნარი წყლის დაბინძურებით ემუქრება.

მყინვარების ზომები გლობალური დათბობით გამოწვეული გაძლიერებული დნობის შედეგად პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში მცირდება. ჰიმალაის მყინვარები შესაძლოა გაქრეს 2035 წლისათვის. ამ მყინვარებით იკვებება აზიის უდიდესი მდინარეები - განგი, ინდუსი, ბრაჰმაპუტრა, იანძე, მეკონგი, სალვინი და ყვითელი მდინარე, რომელთა აუზებში დაახლოებით 2,4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. ჩრდილო ამერიკის დასავლეთი სანაპირო, რომელიც იკვებება "სიერა ნევადისა" და "კლდოვანი მთების" მყინვარებით ანალოგიურ ზემოქმედებას განიცდის.

ინტენსიურად მცირდება მყინვარების ზომები ალასკაზე. ამერიკელ გეოლოგთა დაკვირვებით მყინვარმა დაიხია 20 კმ-ზე მეტით და შევიწროვდა 800 მეტრით. ოკეანის წყალმა შეავსო ხეობა, ჩაენაცვლა რა მყინვარის ყინულს, "მყინვარის ენა" გაქრა მხედველობის არიდან.

რამდენად სერიოზული იქნება კლიმატის გლობალური დათბობის შედეგები ეკოსისტემებზე, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სისწრაფით მოხდება კლიმატის ცვლილება. ფრინველებსა და ცხოველებს შეუძლიათ გადაადგილდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, ხოლო მცენარეების გადაადგილებას ახალი თაობების განვითარება სჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ დათბობა ნელი ტემპით მოხდება, მცენარეები ნელ-ნელა გადაინაცვლებენ ჩრდილოეთისაკენ (ჩრდილო ნახევარსფეროში). თუ გლობალური დათბობა მოხდება ისეთი სიჩქარით, რომელიც აღემატება ხეების სახეობათა უდიდესი ნაწილის გადაადგილების სიჩქარეს, მაშინ მოსალოდნელია ტყის არსებული ტიპების გაქრობა და მათი ჩანაცვლება ტყის ახალი ეკოსისტემებით.

ტემპერატურის საგრძნობლად მომატების შემთხვევაში მოსალოდნელია გვალვების, მწერებით გამოწვეული დაავადებებისა და ხანძრების სიხშირის მომატება. განადგურდება ტყის მასივები. ასევე ცხადია, რომ ტყის ბინადარი ცხოველები და მცენარეები აუცილებლად მოექცევიან ზემოქმედების ქვეშ, როგორც საცხოვრებელი გარემოს ცვლილების, ასევე უშუალოდ ტემპერატურის მატების, ნალექიანობის ცვლილებისა და გახშირებული ხანძრებისა და შტორმული მოვლენების შედეგად.

საქართველოში კლიმატის ცვლილების ნიშნები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. სურათი განსხვავებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. აქ მასშტაბური ხასიათისა და ხშირად განმეორებადი სტიქიური მოვლენებია მეწყერები, ღვარცოფები, ძლიერი წყალდიდობები და წყალმოვარდნები, გვალვები, თოვლის ზვავები, ძლიერი ქარი, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებს ქვეყანას, აზიანებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ინფრასტრუქტურას და იწვევს ადამიანთა მსხვერპლს.

კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოში გამოყოფილია სამი მოწყვლადი რეგიონი, სადაც მისი შედეგები ყველაზე მკვეთრად ვლინდება. ესენია: შავი ზღვის სანაპირო, განსაკუთრებით კი, ქ. ფოთი და მდინარე ჭოროხის მიმდებარე სანაპირო ზოლი, სადაც გამოვლენილია ზღვის დონის აწევის დაჩქარება, ქარების მაქსიმალური სიჩქარეების ზრდა და ძლიერი შტორმების გახშირება. სამეგრელო-ქვემო სვანეთის რეგიონი, განსაკუთრებით კი, ლენტეხის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს მეორე მოწყვლად რეგიონს საქართველოში, სადაც მომატებულია ნალექების რაოდენობა და ხშირია მეწყერი, ეროზია, წყალდიდობა და სხვა კატასტროფული მოვლენები.

საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი მესამე მოწყვლად რეგიონს წარმოადგენს კახეთი, კერძოდ, კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სადაც მკვეთრად გამოვლინდა ნიადაგების გაუდაბნოების პროცესი. აქ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე გვალვიანი პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა 54 დღიდან 72 დღემდე გაიზარდა, ხოლო ძლიერი ქარების განმეორებადობამ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან 5-ჯერ მოიმატა.

კლიმატის ცვლილებამ გავლენა იქონია დაავადებების გავრცელებაზედაც. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა შორისაა მალარია და ლეიშმანიოზი. 1996-2005 წწ. დაფიქსირდა მალარიის 438 შემთხვევა, რომელთაგან 319 (73%) შემთხვევა გამოვლინდა კახეთში. 1995 წლიდან 2005 წლის შუალედში თბილისში აღინიშნა ლეიშმანიოზის მკვეთრი ზრდა (15-დან 160 შემთხვევამდე), რაც განგაშის საფუძველს ქმნის. საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის პირობებში ნავარაუდევია მომავალში ინფექციური დაავადებების შემთხვევების ზრდა. კლიმატური ელემენტების ცვალებადობის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე კატეგორიას წარმოადგენენ ბავშვები და ხანში შესული ადამიანები.

მეცნიერთა გადაწყვეტილებით, გამოსავალი ერთია - აუცილებელია სათბურის გაზების ემისიის შემცირება. ეს კი უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეფერხდეს ეკონომიკის განვითარება. ქვეყნის ეკონომიკაში პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარება და ენერგიის მიღება ეკოლოგიურად სუფთა, ენერგიის განახლებადი წყაროებიდან.

სათბურის გაზების ემისიის შემცირებისა და კლიმატის ცვლილების შერბილების პარალელურად საჭიროა კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებისადმი ადაპტაციის მიმართულებით მუშაობაც. ეს გულისხმობს შეცვლილი გარემო პირობებისადმი ბუნებრივი სისტემების ადაპტირების უნარის გაძლიერებას - კლიმატის ცვლილების მავნე შედეგების ნეიტრალიზებისათვის ღონისძიებების გატარებას.

ლინდა ფუტკარაძე,
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
რეზო დიასამიძე, თამარ სირაძე, მარინა გიორგაძე, მარინა ქორიძე, მურმან გორგოშაძე, ლადო ბალაძე, ნოდარ ბარამიძე, ლალი ზაქარაძე, რეზო ჯაბნიძე, ვლადიმერ ღლონტი, მალხაზ ჩოხარაძე, ნანა მაკარაძე, გუგული დუმბაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ნუგზარ მგელაძე, რეზო მანველიძე, შორენა მახაჭაძე
მარიკა გამახარია, ლიკა ბოლქვაძე, მანანა დევაძე

გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში